ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ კოკო შანელი
8 ლარი
26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე




სამშაბათი, 27 სექტემბერი, 2011 | №229 (5609) | ფასი: 30 თეთრი

# გიორგი ტუღუშმა ხათუნა კალმახელიძეს მთავარ პროკურორთან უჩივლა



გიორგი ტუღუშმა პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობის კიდევ ერთი ფაქტი გაახმაურა. სახალხო დამცველმა ამ ფაქტის შესახებ საქართველოს მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავასაც მიმართა. გიორგი ტუღუშმა მას მოსთხოვა, რომ ხათუნა კალმახელი ის დაქვემდებარებაში მყოფ ქუთაისის №2 საპყრობილეში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე წინასწარი გამო იება დაიწყოს.



გვ.4



გვ.2

## ბადრი ბიწაძე ვენაში იპოვეს



გვ.3

## სოხუმში ალექსანდრე ანქვაბის ინაუგურაცია გაიმართა

მედვედევმა აფხაზთა პრეზიდენტი მოსკოვში მიიწვია



## გია გვაზავა: „სამშობლოსთვის დაღვრილი სისხლი არ შეიძლება უაზრო იყოს!“

გვ.5



გვ.2

## შოთა უტიაშვილი: შალვა რამიშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული არ არის

### ვინ ვინ არის



გვ.6



## ალეკო შალამბერიძე: „ვეტერანებს ნორმალური ცხოვრების პირობები უნდა ჰქონდეს“

გვ.7

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 უზენაეს სასამართლოში პროექტის დახურვის ღონისძიებას ამერიკის ელჩი დაესწრო

3 დიმიტრი ლორთქიფანიძეს საპარლამენტო დელეგაციებიდან გამოიწვევენ

5 თემურ შაშიაშვილი: „საქართველოში ჯანდაცვის კუთხით კატასტროფული მდგომარეობაა“

6 ანქვაბს მივმართავ, ახლობლების საფლავზე ჩაგვიშვას

# ბადრი ბიწაძე ვენაში იპოვეს

**ქართველ სამართალდამცავებს გაქცეული ბადრი ბიწაძე თავს მშვენივრად გრძნობს და დროს ვენაში, ერთ-ერთ ძვირადღირებუ ლ სასტუმროში ატარებს. ბადრი ბიწაძის ადგილსამყოფელი 26 მაისის შემდეგ უცნობი იყო. მისმა მეუღლემ, ნინო ბურჯანაძემ ცოტა ხნის წინ არ დამალა, რომ მისი ძებნილი ქმარი დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში პოლიტიკურ თავშესაფარს ელოდება. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ბიწაძის შესახებ ეს ინფორმაცია უკრაინულ გამოცემა ლბ.უა-სთან ინტერვიუში გაამხილა. ბურჯანაძემ ივარაუდა, რომ ბიწაძეს ავსტრიაში პრობლემები არ შეექმნებოდა.**


ბადრი ბიწაძე

შალვა ჯოხა ე

„ამ ქვეყნის მაღალჩინოსნები, რომლებიც ჩემი მეუღლის საქმეს სწავლობენ, შოკში ჩავარდნენ და არ დაიჯერეს, რომ 21-ე საუკუნეში ასეთი ფაქტები შეიძლება მოხდეს. მას 5 წელი და 6 თვე სრულიად უსაფუძვლოდ შეუფარდეს.

ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სასამართლო პროცესი უამრავი დარღვევით წარიმართა. ჩვენ, ფაქტობრივად, დაცვის უფლება წაგვართვეს. ეს ყველაფერი კი ჩემი ოჯახის კომპრომეტირებისთვის და იმისთვის გაკეთდა, რომ ბადრი ბიწაძისთვის აქტიური პოლიტიკური საქმიანობის საშუალება წაერთმიათ. ხელისუფლებამ იცის, რომ ის ძალიან ავტორიტეტული ადამიანია, ბუნებით ლიდერია. ასე რომ, მისი როგორღაც გაუვნებელყოფა იყო აუცილებელი. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ყველამ კარგად იცის, რა მეგობრულია ჩვენი ოჯახი, რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის ჩემი მეუღლის რჩევა და მხარდაჭერა. ბადრისთვის სასჯელის შეფარდება ჩვენს იძულებით განშორებას ნიშნავდა, რამაც მე ძალიან დიდი დარტყმა მომაყენა“, — აცხადებდა ბურჯანაძე.

ბურჯანაძემ ინტერვიუში ისიც აღნიშნა, რომ თავად საქართველოს დატოვებას არ აპირებს. თუმცა, ქალბატონმა ბურჯანაძემ ალბათ ქვეყნის სამუდამოდ დატოვება იგულისხმა, თორემ ქმრის უნახავად რომ არ დარჩებოდა, ეს ხომ ცხადია. და აი, ქართულმა მედიამ ბიწაძეს ვენაში მიაგნო, რომელსაც თან ცოლშვილიც ახლდა. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, ბადრი ბიწაძე ავსტრიაში, მეუღლესთან, ნინო ბურჯანაძესა და შვილთან ერთად, სასტუმრო „გრანდ-ოტელში“ იმყოფება. ბიწაძემ მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ჟურნალისტების კითხვებს არ უპასუხა და კამერებისთვის თავის არიდებაც სცადა.

სასტუმრო, რომელშიც ბიწაძე-ბურჯანაძის წყვილი წაიჭირეს, საკმაოდ ძვირადღირებულია. როგორც გავარკვიეთ, აქ ერთი ნომრის ფასი დღე-ღამეში 253 ევროდან იწყება, არის 339, 1710 და 2250 ევროიანი ნომრებიც. ვერ გეტყვით, რამდენ ევროიან ნომერში მოკლათდა ბიწაძე, თუმცა, თუკი იმას გავითვალისწინებთ, რამდენი ხანია ის საქართველოდანაა გაქცეული, მაინც კოლოსალურ თანხას მივიღებთ.

მას შემდეგ, რაც ბიწაძე გაქცეეულია, ხან ამბობდნენ, რომ ის სომხეთს აფარებდა თავს, ხანაც რუსეთზე საუბრობდნენ. თუმცა, ქართულ მედიაში ბოლო დროს აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბურჯანაძე-ბიწაძემ სხვა დანარჩენ ქვეყნებს ავსტრია ამჯობინეს და ამ ქვეყანაში ვილაც კი შეიძინეს. რაც შეეხება საქართველოს, ნინო ბურჯანაძეს მისი ქმრისთვის გამოტანილი განაჩენი სააპელაციო წესით აქვს გასაჩივრებული და სასამართლოს ელის.

# უზენაეს სასამართლოში პროექტის დახურვის ღონისძიებას ამერიკის ელჩი დაესწრო

2011 წლის 26 სექტემბერს უზენაეს სასამართლოში გაიმართა ღონისძიება, სადაც აშშ-ის ელჩმა ჯონ ბაასმა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშ-



ვილმა პროექტის მიღწევების შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდეს.

აშშ განვითარების სააგენტოს დახმარებით, სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტმა დაასრულა თავისი 4-წლიანი, წარმატებული მუშაობა საქართველოს სასამართლო სისტემის მხარდასაჭერად. სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის სამოქმედო გეგმის განსაზღვრა მოხდა არსებული სიტუაციის გათვალისწინებითა და საქართველოს სასამართლო სისტემის პრიორიტეტების საფუძვლიანი შეფასების საფუძველზე.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და ამერიკის ელჩმა დადებითად შეაფასეს პროექტის ფარგლებში ჩატარებული საქმიანობა.

შეხვედრის ბოლოს, კონსტანტინე კუბლაშვილმა და ჯონ ბაასმა ხელი მოაწერეს სასამართლოებისთვის იმ ტექნიკისა და აღჭურვილობის გადაცემის შესახებ დოკუმენტს, რომელიც პროექტის ფარგლებში იქნა შეძენილი. ასევე, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის სასამართლოს თანამშრომლებს სერთიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

# შოთა უტიაშვილი: შალვა რამიშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული არ არის

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის ვენახში გუშინ მომხდარი ინციდენტის გამო, ტელეკომპანია მაესტროს„ ჟურნალისტის შალვა რამიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის.


შოთა უტიაშვილი

— არა, რას ამბობთ, ვინ გითხრათ? რამიშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული არ არის, — განაცხადა შოთა უტიაშვილმა.

გუშინ კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, ყვარლის პოლიციაში მათ განუცხადეს, რომ პრეზიდენტის ვენახში მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პოლიციის სამმართველოში ოფიციალურ კომენტარი არ გააკეთეს, თუმცა აღნიშნეს, რომ გამოძიება სსკ-ის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაიწყო.

აღნიშნული მუხლი ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევას ითვალისწინებს. ბინაში ან სხვა მფლობელობაში, ჯგუფურად, მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ და უკანონოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას, ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით ორიდან ხუთ თვემდე ანდა თავისუფლების ალკვეთით ვადით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შეგახსენებთ, რომ 25 სექტემბერს, დაახლოებით 15:00 საათზე, ყვარელში, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვენახში ჟურნალისტი შალვა რამიშვილი დააკავეს. ჟურნალისტი სააკაშვილის ვენახში რეპორტაჟის მოსამზადებლად იყო ჩასული. დაკავების შემდეგ ჟურნალისტს პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა კამერები წაართვეს და დაახლოებით ერთი საათის მერე გადაღებული ვიდეომასალის გარეშე დაუბრუნეს. პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ჟურნალისტი და მისი თანმხლები პირები, მათ შორის პარტია თავისუფალი საქართველოს„ კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი მოსიაშვილი ერთი საათის განმავლობაში დაკავებული ჰყავდათ, რის შემდეგაც გაათავისუფლეს.

**მედიანიუსი**

# გამჭვირვალე შენობებში პოლიციელებს საბუთების მუქი სათვალით შესწავლა უწევთ

პოლიციის თანამშრომლები გამჭვირვალე შენობებში არსებულ სამუშაო პირობებს უჩივიან.

როგორც „პირველთან“ კერძო საუბარში პოლიციელებმა აღნიშნეს, საქართველოს შსს-ს სავიზიტო ბარათად ქცეული შუშის შენობების გამჭვირვალეობის გამო მზიან ამინდში მუშაობა ძალიან ჭირს.

— ასეთ ამინდში ჩათვალეთ, რომ სათბურში მცხუნვარე მზის ქვეშ ვსხედვართ, რომლის სხივებს სამუშაო მაგიდის ქვეშ შეძრომით თუ დააღწევ თავს, მაგრამ იქ რომ შეძვრე, გარედან ჩანხარ, ამიტომ საშველი არ არის. საბუთების შესწავლაც მუქი სათვალით გვიწევს, რადგან მზე თვალს გვჭრის, მაგრამ როგორ გინდა, რომ თქვა რამე?!, — განაცხადა პოლიციის თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა გასაგების მიზეზების გამო არ ისურვა.



შეგახსენებთ, რომ შს სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით პოლიციის განყოფილებების მშენებლობა 2008 წლიდან დაიწყო და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების პროექრის ფარგლებში ათობით გამჭვირვალე შენობა აშენდა და თავად შს სამინისტროს უზარმაზარი შემინული შენობა სამგორის რაიონში სწორედ ამ პროექტის ნაწილია.

თავის დროზე, ერთ-ერთი პირველი შენობის გახსნის დროს მინისტრმა მერაბიშვილმა განაცხადა, რომ „სურს, ქვეყნის მოსახლეობას ლამაზი შენობების მშენებლად დაამახსოვრდეს“.

ამასთან, მინისტრმა აღნიშნა, რომ „პოლიციის გამჭვირვალე შენობა თანამედროვე ქართველი სამართალდამცველის მუშაობის გამჭვირვალეობის სიმბოლოა“.

**პირველი**

# მაჭავარიანი: კარგი მედვედევისა და ცუდი პუტინის არსებობის ილუზია არავის ჰქონია

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, საქართველოში არავის ჰქონია ილუზია, რომ კარგი მედვედევი და ცუდი პუტინი არსებობს.


მიხეილ მაჭავარიანი

ჟურნალისტებთან საუბრისას იგი რუსეთის პრეზიდენტის 2012 წლის არჩევნებისათვის ვლადიმირ პუტინის კანდიდატურის დასახელებას გამოეხმაურა. მისი თქმით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და საპარლამენტო დელეგაცია ყოველთვის ამბობდნენ, რომ მედვედევი დე ფაქტო პრეზიდენტია და პრეზიდენტი მედვედევი, როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირი, არ არსებობს.

— ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან პუტინი არის ადამიანი, რომელიც ღიად ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი უნდა აღადგინოს. ამას იგი არა მხოლოდ ამბობს, არამედ აკეთებს კიდეც, რისი მაგალითიც საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციაა. ეს ყველასთვის იმის მაგალითი უნდა ყოფილიყო, თუ რა მოუვა იმას, ვინც რუსეთის დაკრულზე არ დადის. ესაა პოლიტიკოსი, რომელიც კრიმინალზე მიდის და იარაღად ნავთობსა და გაზს იყენებს, — აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა. მისი მოსაზრებით, თუ ევროპა დროზე არ მოვა გონს, ძალიან დაზარალდება.

შეგახსენებთ, რომ ვლადიმირ პუტინი პრეზიდენტობის კანდიდატად პარტია „ედინაია როსიას“ ყრილობაზე დიმიტრი მედვედევმა დაასახელა. პუტინმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში მთავრობას დიმიტრი მედვედევი უხელმძღვანელებს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დიმიტრი ლორთქიფანიძეს საპარლამენტო დელეგაციებიდან გამოიწვევენ

ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძეს სამი საპარლამენტო დელეგაციიდან გამოიწვევენ, სადაც ის ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ კვოტით იყო წარდგენილი. ესენია: ეუთოს, მართლმადიდებელ სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო და სუამის საპარლამენტო დელეგაციები.


დიმიტრი ლორთქიფანიძე

ეს საკითხი პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ აღნიშნა, ამის მიზეზი ლორთქიფანიძის ახალ ფრაქციაში „ერთობა სამართლიანობისათვის“ გადასვლაა. შესაბამისი მიმართვა ბიუროს „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე გია თორთლაძემ წარუდგინა.

დიმიტრი ლორთქიფანიძე საპარლამენტო დელეგაციებიდან მის გამოწვევას პირად ანგარიშსწორებას უკავშირებს.

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისი გამოწვევა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მხრიდან მის მიმართ პირადი ანგარიშსწორებაა.

— 26 მაისის აქციის დარბევასთან დაკავშირებით ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებს ვიდეო-ფოტო-აუდიომასალები გადავუგზავნე. ეს არის პირადი ანგარიშსწორება, როდესაც ამ ორგანიზაციიდან მიწვევენ, აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დეპუატატის თქმით, პარლამენტის პირველივე საშემოდგომო სესიაზე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქცია "ერთობა სამართლიანობისთვის" ეუთოში წარმომადგენლის გარეშე არ დარჩებოდა და საპარლამენტო დელეგაციაში წევრი ეყოლება. მაგრამ ამის მიუხედავად, დღეს მისი გამოწვევის საკითხი მაინც დადგა.

**მედიანიუსი**

# უზენაეს სასამართლოსთან ადვოკატებმა საპროტესტო აქცია გამართეს

გუშინ საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან დღეს 100-მდე ადვოკატმა საპროტესტო აქცია გამართა და ხელისუფლების მხრიდან ადვოკატების დევნა გააპროტესტა. მათ სამართლიანი სასამართლოსა და უკანონოდ დაკავებული ადვოკატების გათავისუფლება მოითხოვეს.


ზაზა ხატიაშვილი

როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, დღეს აქ ადვოკატებმა დააფიქსირეს თავისი პოზიცია, რომ არ შეეგუებიან სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან ადვოკატთა კორპუსის დევნას. დღეს 122 ადვოკატის მიმართ არის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი მაშინ, როდესაც საბჭოთა რეჟიმის დროს დაკავებული იყო სულ 80 ადვოკატი.

— ეს არის ამ რეჟიმის სავიზიტო ბარათი. ჩვენ მოვედით ამ ფეოდალური დაწესებულების წინ, რომელსაც ჰქვია უზენაესი სასამართლო და რომელმაც სააკაშვილის რეჟიმი მონსტრად აქცია. ჩვენი აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან არ დამთავრდება ადვოკატების დევნა. ადვოკატ ტარიელ მურვანიშვილის დაკავებამ ადვოკატებს ბოლო წვეთი აუვსო, — განაცხადა ხატიაშვილმა და დასძინა, რომ ადვოკატებმა ევროკავშირის პრეზიდენტს მიმართეს, რათა სააკაშვილის პერსონა ნონ გრატად გამოცხადდეს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების მტერი.

ადვოკატები აქციების გაგრძელებას კვლავაც აგრძელებენ და შემდეგ შიმშილობის აქციაზე გადავლენ, რათა მსოფლიოს აჩვენონ, „ვინ არის სააკაშვილი და რა დამართა მან ადვოკატთა კორპუსს“.

ორგანიზაცია სოლიდარობა უკანონო პატიმრებს„ ლიდერი ეკა ბესელია აცხადებს, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც ადვოკატებს, ისე ჩვეულებრივ მოქალაქეებს. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა, რომ ჩვენი პროფესია იყოს ხელშეუხებელი.

— ჩვენ არ მივცემთ უფლებას ხელისუფლებას, რომ ხელი აფათუროს ადვოკატების საქმიანობაში. როდესაც ადვოკატი გამოდის ქუჩაში, ეს უკვე საგანგაშოა, რადგან ის უნდა იბრძოდეს სასამართლო დარბაზში. დღეს ქვეყანაში არის ძალის სამართალი და არა კანონის სამართალი, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

შეგახსენებთ, რომ ადვოკატების ეს უკვე მესამე აქციაა. ადვოკატებმა საპროტესტო აქციები უკვე გამართეს ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლობასთან.

მათ დღევანდელ აქციას სოლიდარობა „ალია ჰოლდინგის“ წარმომადგენლებმაც გამოუცხადეს.

**მედიანიუსი**

# სოხუმში ალექსანდრე ანქვაბის ინაუგურაცია გაიმართა

*თეა მარხვაი ე*

გუშინ სოხუმში აფხაზეთის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართა. პრეზიდენტად არჩევისთანავე ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა, რომ მისი ინაუგურაცია მოკრძალებულად ჩატარდებოდა. „აპსნიპრესის“ ცნობით, ეს მოკრძალებულობა სერგეი ბაღაფშის დაღუპვის გამო გამოიჩინეს აფხაზებმა. ამავე მიზეზით არ იყვნენ მიწვეული ღონისძიებაზე უცხოელი სტუმრები.


ალექსანდრე ანქვაბი

„აპსნიპრესის“ ცნობით, საზეიმო ღონისძიება პრეზიდენტის ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა.

ღონისძიებას აფხაზეთის პარლამენტის წევრები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რომან მუშბა და რუსეთის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვალენტინა მატვიენკო დაესწრნენ.

სააგენტო „აპსნიპრესის“ ცნობით, ცერემონიაზე ანქვაბმა აფხაზეთის კონსტიტუციაზე ფიცი დადო, რომ კეთილდღეობის, მშვიდობისა და სიმშვიდისთვის მთელ თავის ცოდნასა და ძალას გამოიყენებს. ამის შემდეგ მას გადასცეს საპრეზიდენტო ხელისუფლების ატრიბუტები.

ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდნენ ვალნეტინა მატვიენკო და აფხაზეთში სამხრეთ ოსეთის ელჩი რობერტ კოკოითი. ინაუგურაციის დასასრულს სიტყვა თავად ანქვაბმაც წარმოთქვა.

აფხაზეთის ვიცე-პრეზიდეტის თანამდებობა დაიკავა მიხეილ ლოგუამ, რომელმაც 26 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნებში ანქვაბთან ერთად იყარა კენჭი.

რუსმა სტუმარმა ანქვაბს თავისი პრეზიდენტის დანაბარებიც გადასცა. გუშინ გაირკვა, რომ დიმიტრი მედვედევმა ანქვაბი მოსკოვში მიიპატიჟა.

აფხაზეთის ახალი პრეზიდენტი ალექსანდრე ზოლოტინსკის ძე ანქვაბი 1952 წლის 26 დეკემბერს სოხუმში დაიბადა.

## მედვედევმა აფხაზთა პრეზიდენტი მოსკოვში მიიწვია

1974 წელს დაამთავრა როსტოვის იურიდიული ინსტიტუტი, სკკპ-ს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია.

აქვს იურიდიული განათლება და მრავალწლიანი კომკავშირული მუშაობის გამოცდილება.

1975-დან 1981 წლამდე მუშაობდა აფხაზეთის ასსრ-ის იუსტიციის სამინისტროში, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, კომკავშირის გუდაუთის რაიონის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გუდაუთის რაიონის რაიონული განყოფილების უფროსად.

1981-დან 1983 წლამდე მუშაობდა თბილისში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრული კომიტეტის აპარატში ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად, სოფლის მეურნეობის განყოფილების სამეცნიერო და ეკონომიკური ანალიზის სექტორის გამგედ, ადმინისტრაციული ორგანოების მმართველის მოადგილედ.

1984-დან 1990 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ აპარატს მინისტრის მოადგილის რანგში.

1991 წელს არჩეულ იქნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1992□1993 წლებში, ვლადისლავ არძინბას მთავრობაში იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.

1994-2000 წლებში ცხოვორბდა მოსკოვში, ეწეოდა ბიზნესს. სოხუმში დაბრუნებულმა დააარსა პირველი ოპოზიციური მოძრაობა „აითაირა“. 2004 წელს აპირებდა ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ ვერ შეძლო კანდიდატურის წამოყენება, რადგან ვერ აკმაყოფილებდა პრეზიდენტობის კანდიდატობის პირობებებს (სეპარატისტული აფხაზეთის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა ცხოვრობდეს აფხაზეთში ბოლო 5 წლის განმავლობაში).

ანქვაბმა გადაწყვიტა, საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დაეჭირა სერგეი ბაგაფშისთვის, რამაც ამ უკანასკნელს დამატებითი ხმები მოუტანა.

2009 წელს არჩეულ იქნა რიგით მე-3 ვიცე-პრეზიდენტად. მოვალეობის შესრულებას შეუდგა 2010 წლის 12 თებერვლიდან.

სერგეი ბაგაფშის გარდაცვალების შემდეგ (29 მაისი, 2011) კენჭი იყარა ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე. 26 აგვისტოს არჩევნების პირველსავე ტურში მოიპოვა გამარჯვება ხმების 54,86%-ით.

მისგან აფხაზები პირველ რიგში წესრიგის დამყარებას ელიან. ქართველი ექსპერტების განმარტებით ეს იოლი არ იქნება. ცნობისათვის, მისი გაპრეზიდენტებიდან ერთი თვის თავზე აფხაზეთში რამდენიმე გახმაურებული კრიმინალური დანაშაული მოხდა. ქართველი ექსპერტების განმარტებით, ამ აფეთქებებით ის კრიმინალებმა გააფრთხილეს.

რაკი აფეთქება ვახსენეთ, უნდა აღინიშნოს რომ მის წინააღმდეგ 5 ტერორისტული აქტი განხორციელდა. რომელთაგან დღემდე არცერთი არ არის გახსნილი.

# პოლიკლინიკები „ავერსსა“ და „პეესპეს“ ჩუმად მიჰყიდეს

*შალვა ჯოხა ე*

მე-13 პოლიკლინიკა მართლაც დათარსული ყოფილა. დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ადგილას, ოპერის წინ მდებარე ეს სამედიცინო დაწესებულება უქმდება და მისი თანამშრომლები სხვა პოლიკლინიკაში გადაჰყავთ სამუშაოდ (თუკი ოპტიმიზაციის მომიზეზებით საერთოდ არ გაუშვეს სამსახურიდან). საქმე ისაა, რომ დედაქალაქის მასშტაბით უკვე 20 პოლიკლინიკა გაიყიდა, მათი ნაწილი პროფილს შეინარჩუნებს, ნაწილს კი გაუქმება არ ასცდება. ეს პროცესი საკმაოდ გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობს. პარტია „საქართველოს გზის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე მამუკა ბალიაშვილი დედაქალაქის მერიის მიერ თბილისის ტერიტორიაზე არსებული პოლიკლინიკების გაყიდვის ფაქტებთან დაკავშირებულ დარღვევებზე საუბრობს.

თბილისის მერია დედაქალაქის მასშტაბით არსებულ პოლიკლინიკებს ელექტრონულ აუქციონზე დაჩქარებული წესით ყიდის. პროცესი გრძელდება და მორიგი აუქციონი 6 ოქტომბერსაა დანიშნული. კიდევ 9 პოლიკლინიკა უნდა გაიყიდოს. მამუკა ბალიაშვილის განცხადებით, როგორც საქართველოს ხელისუფლებას სჩვევია, პოლიკლინიკების მყიდველთა ვინაობა საზოგადოებისთვის დაფარულია. თუმცა, ამ ქვეყანაში დიდხანს მაინც არაფერი იმალება და უკვე გაირკვა, ვინ იგდებს ხელში ყველა ამ სამედიცინო ობიექტს.

— რამდენიმე გაყიდულ პოლიკლინიკაში ვიმყოფებოდი. ერთ-ერთი პოლიკლინიკა „შუა ქალაქის“ დირექტორისგან, ვლადიმერ ზარდალიშვილისაგან შევიტყვე, რომ კომპანია „ავერსმა“ და „პეესპემ“ ფინანსური ჯგუფი „მედ კაპიტალი“ შექმნეს, რომელმაც შეისყიდა თბილისის მასშტაბით ყველა პოლიკლინიკა. კონკრეტულად ზარდალაშვილის პოლიკლინიკა ყველაზე ძვირად, 2 მილიონად გაიყიდა, დანარჩენ პოლიკლინიკებში კიდევ უფრო დაბალი თანხები გადაიხადეს. ცხადია, ეს ძალიან მცირე თანხაა იმ ქონებისათვის, რაც მყიდველებს ხელში ჩაუვარდათ. მაგალითად, გაიყიდა დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ადგილას მდებაზე მე-13 პოლიკლინიკა, რომლის თანამშრომლებიც ზარდალაშვილის პოლიკლინიკაში უნდა გადაიყვანონ სამუშაოდ, ამ დაწესებულებას პროფილი არ შეუნარჩუნდება. ჩვენი ინფორმაციით, ოპტიმიზაცია კიდევ რამდენიმე პოლიკლინიკაში იგეგმება. მაგალითად, ზარდალაშვილი პოლიკლინიკის ახალ მფლობელ კომპანიას რამდენიმე დღეში უნდა შეხვდეს და დეტალებზე ესაუბროს. მისთვის უკვე ცნობილია, რომ კონკრეტულად ამ დაწესებულების მენეჯმენტში ცვლილებები აუცილებლად განხორციელდება, — აღნიშნა მამუკა ბალიაშვილმა.


მამუკა ბალიაშვილი

მამუკა ბალიაშვილის თქმით, თავდაპირველად დედაქალაქის ხელისუფლება იმაზე ალაპარაკდა, რომ ზოგიერთი პოლიკლინიკა იქ მომუშავე მედპერსონალმა შეიძინა, თუმცა ეს ტყუილი აღმოჩნდა. ფაქტია, რომ 20-ივე გაყიდული პოლიკლინის მფლობელი სწორედ „მედ კაპიტალია“. ელექტრონული აუქციონები ისე ჩატარდა, რომ ფართო საზოგადოებისათვის არ გამხდარა ცნობილი, სამედიცინო ობიექტები რომ იყიდებოდა. „მედ კაპიტალს“ აუქციონისას არც ერთი კონკურენტი არ ჰყოლია და ამიტომაცაა, რომ დიდძალი ქონება ხელში მინიმალურ ფასად ჩაიგდო.

პარტიაში საუბრობენ, რომ ცნობილი ფაქტია, „ავერსი“ და „პეესპე“ ქართულ ბაზარზე ხელისუფლებასთან დაახლოებულ იმ კომპანიებს წარმოადგენენ, რომელთა ხელშიც ჯანდაცვის სისტემის ყველაზე მსხვილი ობიექტები მოექცა, ესენია საავადმყოფოები, აფთიაქები, წამლის ქარხნები, სამშობიაროები, კლინიკები და ახლა უკვე პოლიკლინიკებიც ექცევა. მართალია, „მედ კაპიტალის“ მაქინაციის შესახებ ინფორმაცია უკვე საზოგადოებისათვის ხდება ცნობილი, მაგრამ ბალიაშვილი აცხადებს, რომ არაა გამორიცხული, მორიგ ელექტრონულ აუქციონზეც იგივე მოხდეს და „ავერსისა“ და „პეესპეს“ ერთობლივმა ფირმამ დანარჩენი პოლიკლინიკებიც კონკურენტებისაგან შეწუხების გარეშე კვლავ ხელში ჩაიგდოს.

„საქართველოს გზა“ მოითხოვს, რომ ეს პროცესი გამჭირვალე და სამართლიანი გახდეს. თბილისის მერიამ გაგვცეს პასუხი, თუ რატომ ყიდულობს ყველაფერს „მედ კაპიტალი“ და საზოგადოებას თითოეულ გაყიდულ და გასაყიდ ლოტზე მიაწოდოს ინფორმაცია“, — აცხადებს ბალიაშვილი.

შედით საიტზე atb.ge



# გიორგი ტუღუშმა ხათუნა კალმახელიძეს მთავარ პროკურორთან უჩივლა

**ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, საქართველოში ორი ციხეა, ერთი — მინისტრ კალმახელიძის ანუ ხელისუფლების, მეორე — პატიმრების ანუ ხალხის). მინისტრის ციხეში არავის სცემენ და აწამებენ, იქ ევროპული სტანდარტებია. აი, პატიმრების ციხე კი არანაირ სტანდარტს არ ესადაგება, თუმცა არა, ის დიდი ხანია, სრულიად ახალ, ქართულ სტანდარტად ჩამოყალიბდა. სახალხო დამცველის აპარატი პატიმრების წამების შესახებ ინფორმაციას ხშირად ახმაურებს, თუმცა, როგორც წესი, ამ ფაქტებზე არანაირი რეაგირება არ ხდება, თითქოს ასეც უნდა იყოს, ტუსაღებს ცემით სულს უნდა ხდიდნენ.**


ხათუნა კალმახელიძე

შალვა ჯოხა ე

გიორგი ტუღუშმა პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობის კიდევ ერთი ფაქტი გაახმაურა. სახალხო დამცველმა ამ ფაქტის შესახებ საქართველოს მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავასაც მიმართა. გიორგი ტუღუშმა მას მოსთხოვა, რომ ხათუნა კალმახელიძის დაქვემდებარებაში მყოფ ქუთაისის №2 საპყრობილეში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყოს.

ომბუდსმენის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, 11 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები ქუთაისის მე-2 დაწესებულება-


გიორგი ტუღუში

ში დაახლოებით 100 პატიმარს შეხვდნენ და გაესაუბრნენ. მათმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ 9 სექტემბერს, დაახლოებით 21:00 საათზე №2 დაწესებულებაში სპეციალური დანიშნულების რაზმი შევიდა. პატიმრების ნაწილი საკნებიდან გაიყვანეს (ძირითადად ცე და დე კორპუსში განთავსებული პატიმრები), მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამის შემდეგ, ზოგი საკანში დააბრუნეს, ზოგიც სამარტოო საკანში გადაიყვანეს. ამ ყველაფრის შესახებ საუბრის გარდა, ოთხმა მსჯავრდებულმა მომხდარი ფაქტი წერილობითაც დაადასტურა.

მსგავსი სისასტიკე ამ საპყრობილეში არც პირველია და ალბათ, არც უკანასკნელი. აგვისტოში სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ქუთაისის №2 დაწესებულებაში გეგმური მონიტორინგი ჩაატარა. მონიტორინგის დროს მონახულებული პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ უხეშად და დამამცირებლად სისტემატურად ექცეოდნენ. განსაკუთრებით ეს დისციპლინურ პასუხისმგებლობადაკისრებულ და კარანტინში განთავსებულ პატიმრებს ეხებოდა.

პატიმართა თქმით, დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, სამარტოო საკანში გადაყვანის ნაცვლად (როგორც ამას კანონი ითვალისწინებს) პატიმართა უმეტესობა ჯერ დაწესებულების „ბოქსში" გადაჰყავდათ და იქ ფეხშიშველა, საცვლებისამარა 3□დან 24 საათამდე ათავსებდნენ. ზოგიერთმა მსჯავრდებულმა ისიც აღნიშნა, რომ ისინი „ბოქსში" ჩაყვანის შემდეგ სცემდნენ, თუმცა ასეთი ფაქტების წერილობით დაფიქსირებისგან თავი შეიკავეს.

— ქუთაისის №2 დაწესებულებაში ასეთი პრაქტიკის არსებობა მონახულებული პატიმრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (დაახლოებით 600 პატიმარი) დაადასტურა, რაც ამ ფაქტებს განსაკუთრებით დამაჯერებელს ხდის. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისის დაწესებულება დახურული ტიპისაა, სადაც სხვადასხვა საკნებში განთავსებულ პატიმრებს ერთმანეთთან არანაირი კონტაქტი არ აქვთ.

ამას გარდა, ზაფხულის განმავლობაში, ქუთაისის №2 დაწესებულებაში განთავსებულმა პატიმრებმა სახალხო დამცველს არაერთი კოლექტიური განცხადებით მიმართეს. ისინი მათი უფლებების უხეშ დარღვევასა და არასათანადო მოპყრობაზე საუბრობდნენ. ორ ფაქტზე, სახალხო დამცველის რეკომენდაციით, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მუხლით გამოძიება დაწყებულია.

კვლავ პრობლემად რჩება დახურულ დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმართა ყოფა. მათი მდგომარეობა მძიმდება ცხელი ზაფხულის პერიოდში, როდესაც საკნებში განსაკუთრებით გაუსაძლისი პირობებია შექმნილი. მდგომარეობას მეტ-ნაკლებად ამსუბუქებს ვენტილატორები, რომელთა შეძენაც შესაძლებელია დაწესებულებების მაღაზიებში, თუმცა სასჯელაღსრულების სისტემაში შრომითი, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებების არარსებობის გამო, დახურული დაწესებულებების პატიმრებს მინიმუმ 23 საათის განმავლობაში საკანში უწევთ ყოფნა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ მდგომარეობას, — აცხადებენ სახალხო დამცველის ოფისში.

სახალხო დამცველმა მის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით სასჯელაღსრულების მინისტრს აგვისტოშივე მოუწოდა, ქუთაისის №2 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ღონისძიება სასწრაფოდ გაეტარებინა, ასევე ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი დაეყენებინა, რომლებიც პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობით გამოირჩევიან. ამის მიუხედავად, ქუთაისის №2 დაწესებულებაში არსებული სიტუაცია არანაირად არ გაუმჯობესებულა. სახალხო დამცველისთვის უცნობია, გატარდა თუ არა რაიმე სახის ღონისძიება ქუთაისის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით.

ცხადია, ეს ფაქტები სახალხო დამცველის მორიგ ანგარიშში აუცილებლად მოხვდება, თუმცა, ისიც ნათელია, რომ საკანონმდებლო ორგანოში ამ ფაქტების ნამდვილობას კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ. არადა, ეს ინფორმაცია სახალხო დამცველის წარმომადგენლებს უშუალოდ პატიმრებისაგან აქვთ მიღებული და მსგავსი ფაქტების შესახებ ციხეში მყოფთა ახლობლები თუ უფლებადამცველებიც ხშირად საუბრობენ. წლებია, რაც ამ პრობლემატიკაზე ყველა ამახვილებს ყურადღებას, გარდა სახელმწიფოსი. რა ხანია, ჩვენს ციხეებში ასეთი მძიმე ფონია, თუმცა ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა თითქმის არავის ეკისრება, სასჯელაღსრულების მინისტრები კი ხშირ-ხშირად იცვლებიან, თუმცა მათ გაცილებით კარგ პოსტებზე ნიშნავენ. იშვიათია, როცა პატიმრების წამებისათვის ვინმე რეალურად ისჯება. ერთ-ერთი ასეთი პრეცედენტი, რომელსაც ცოტა ხნის წინ ჰქონდა ადგილი, კვლავ ქუთაისის მე-2 საპყრობილეს უკავშირდება. სასჯელაღსრულების დაწესებულების ის თანამშრომლები დააკავეს, რომლებიც პატიმარ რამაზ პატარაიას ცემაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა.

ცენტრის იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო ანდრიაშვილი პატიმარ რამაზ პატარაიას ინტერესებს თითქმის ერთი წელია, იცავს. პატარაია მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის გამო უმძიმეს მდგომარეობაშია, ქვედა კიდურები პარალიზებული აქვს და ეტლით გადაადგილდება, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და კრუნჩხვები აღენიშნება.

ნინო ანდრიაშვილის ინფორმაციით, როგორც თავად პატიმარი ყვება, ორი წლის წინ, 3 დეკემბერს ქუთაისის №2 საპყრობილეში მას ციხის თანამშრომლებმა: ვინმე დათომ (რომლის გვარიც არ ახსოვდა) და ნუგზარ ჟორჟოლიანმა სასტიკად სცემეს. ისინი პატარაიას წიხლებს ფეხებში, ზურგსა და თავში ურტყამდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. მომხდარის შემდეგ, პატიმარმა ექიმის დახმარება და ციხის საავადმყოფოში გადაყვანა არაერთხელ ითხოვა, მაგრამ მისთვის სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ. 2010 წლის 29 იანვარს რამაზ პატარაია ძალადობის მსხვერპლი მეორედაც გახდა. მას ქუთაისის №2 საპყრობილიდან მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ეტაპირებისას საბადრაგო სამსახურის თანამშრომელმა სცემა. ინციდენტის შემდეგ, პატიმარი სახალხო დამცველის რწმუნებულმა მოინახულა და ოქმში მის სხეულზე არსებული დაზიანებები აღწერა, მოგვიანებით კი მისთვის ადეკვატური მკურნალობის ჩატარება მოითხოვა, თუმცა ამაოდ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეში ჩართვის შემდეგ, ადვოკატმა ნინო ანდრიაშვილმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართა. სტრასბურგიდან პროკურატურას მოსთხოვეს, მიეწოდებინათ ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობდა რამაზ პატარაიას საქმის ძიება და რა კეთდებოდა პატიმრის ადეკვატური მკურნალობისათვის. პროკურატურა გამოძიებას და ეჭვმიტანილთა დადგენა-დაკავებას დიდხანს აჭიანურებდა, თუმცა, საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლოს ანგარიში მაინც გაუწია და იძულებული გახდა, საქმეზე მეტ-ნაკლებად ადეკვატური რეაგირება მოეხდინა.

ჩვენმა სამართალდამცავებმა ამოცნობის პროცედურის ჩატარების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის განყოფილების ინსპექტორი ნუგზარ ჟორჟოლიანი და კონტროლიორი დავით სვანიძე დააკავა. დაკავებულებს წინასწარი პატიმრობის ვადა უკვე გასდით და მალე მათი სასამართლო პროცესებიც დაიწყება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სვანიძე და ჟორჟოლიანი მაინც დაინდეს, მათ პატიმრის წამების ბრალდება კი არ წაუყენეს, არამედ სამსახურებრივ გადაცდომაში დაადანაშაულეს.

— სამწუხაროა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმხორციელებელი პირების გამოსავლენად დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურას თითქმის ორი წელი დასჭირდა. არადა, გამოძიებას ადვილად შეეძლო დაედგინა, მომხდარი ფაქტის დღეს ვინ მორიგეობდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. ამავე დროს, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი საბადრაგო სამსახურის იმ თანამშრომლის ვინაობა, რომელმაც რამაზ პატარაია 2010 წლის 29 იანვარს სამკურნალო დაწესებულებაში ეტაპირებისას სცემა.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის №2 საპყრობილის თანამშრომლებს საბოლოოდ ბრალად არა პატიმრის წამება ან არაადამიანური მოპყრობა, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება წაუყენეს, ჩვენ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, მივესალმებით პატიმრის ფიზიკურ შეურაცხყოფაში დამნაშავე პირების დასჯის პრეცედენტს. იმედია, ეს შემთხვევა დააფიქრებს ყველა მოხელეს, ვინც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებს აწამებს, რომ ადრე თუ გვიან, მათ სასჯელი არ ასცდებათ და სამართალი გაიმარჯვებს, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

## საქართველოში გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე იმყოფება

ფედერალური გამოძიების ბიუროს აკადემიის კურსდამთავრებულთა ყოველწლიური კონფერენციის გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ფედერალური გამოძიების ბიუროს დირექტორის მოადგილე საერთაშორისო ოპერაციების დარგში, ჯოზეფ დემარესტი.

შსს-ს ცნობით, აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების აკადემიის კურსდამთავრებულები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს ეცნობიან. კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების თანამშრომლები. გახსნას ესწრებოდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ივანე მერაბიშვილი.

კონფერენცია ოთხი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

ინტერპრესნიუსი

## ოქროს ნაკეთობების კონტრაბანდაზე ორი მოქალაქე დააკავეს

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობების კონტრაბანდის ფაქტზე საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, დაკავებულები არიან მამუკა ჯილაური

და ნანი ხეჩიაშვილი, რომლებმაც თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე მალულად, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარ პუნქტ სარფის„ გვერდის ავლით 67 246 ათასი ლარის ღირებულების (1072 გრამი) განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობები შემოიტანეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება სსსკ-ის 214-ე მუხლის II ნაწილით მიმდინარეობს.

გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული სამმართველო აწარმოებს.

პირველი

## თურქეთმა საქართველოს ოთხ მოქალაქეს დეპორტაცია გაუკეთა

თურქეთმა საქართველოს ოთხი მოქალაქის დეპორტაცია განახორციელა.

თურქული მედიის ცნობით, ქართველები პოლიციის შენობასთან ახლომდებარე სახლში სუფრასთან ისხდნენ, როდესაც ერთ-ერთი მათგანი აივანზე გავიდა და ცეცხლსასროლი იარაღიდან 16-ჯერ გაისროლა.

სამართალდამცავების ინფორმაციით, ინციდენტის შედეგად არავინ არ დაშავებულა. გასროლის შემდეგ თურქმა სამართალდამცავებმა სახლს ალყა შემოარტყეს და ოთხივე ქართველი დააკავეს.

აღნიშნული ინციდენტი ქალაქ არდაშენში მოხდა. ოთხივე ქართველის სამშობლოში გამოაძევეს.

მედიანიუსი

## ქდმ ამბროზიას განადგურებას ითხოვს

თელავის რაიონში წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში „ქრისტიან-დემოკრატებმა" მორიგი აქცია გამართეს. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა ლალიაშვილმა და მაჟორიტარობის კანდიდატმა ნიკო ლაშხმა დღეს მხარდამჭე-


ნიკა ლალიაშვილი

რებთან ერთად სარეველა მცენარე — ამბროზიას განადგურების მიზნით სპეციალური პროგრამის შემუშავება და ეფექტური ღონისძიებების გატარება მოითხოვეს.

— სარეველას, რომელიც ძალზე სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, თელავის შემოგარენში უზარმაზარი ფართობები უჭირავს. გლეხები მცდელობას არ აკლებენ, მაგრამ სახელმწიფოს დახმარება აუცილებელია. სტატისტიკის მიხედვით, გახშირებულია ალერგიის და ასთმის შემთხვევები. მრავალი მიმართვის მიუხედავად, სამწუხაროა, რომ არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ხელისუფლება ამ პრობლემის მოსაგვარებლად არაფერს აკეთებს, — განაცხადა ლალიაშვილმა.

მედიანიუსი

# გია გვაზავა: „სამშობლოსთვის დაღვრილი სისხლი არ შეიძლება უაზრო იყოს!“

თეა მარხვაი ე

**27 სექტემბერი საქართველოსთვის ძალიან მტკივნეული თარიღია. ეს სოხუმის დაცემის დღეა. ამ დღეს საქართველოს მოსახლეობა განსხვავებულად უყურებს. ერთნი ამ თარიღს აღნიშნავენ, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ დამარცხების თარიღი არ უნდა აღინიშნოს და ეს უაზრო ომი იყო.**

იყო თუ არა აფხაზეთში მიმდინარე ომი უაზრო, რატომ მოხდა ქართველების და აფხაზების გაუცხოება, რას ნიშნავს ქართველებისთვის 27 სექტემბერი, ამის შესახებ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**გია გვაზავა:**

— 27 სექტემბერი არის ტრაგიკული დღე, რომელსაც ჩვენ ვერსად ვერ გავექცევით. საოცარი რელიგიური დამთხვევაა, რადგანაც 27 სექტემბერი არის ჯვართამაღლების დღე. ამიტომ ეს თარიღი ჩვენი დაცემის, მაგრამ ამავე დროსამაღლების დღეც უნდა იყოს. მე მჯერა, რომ ყველა ტკივილს აუცილებლად მოჰყვება სიხარული.

***— თქვენ გჯერათ, რომ ამ ტკივილსაც ექნება ბედნიერი დასასრული?***

— აუცილებლად მოჰყვება სიხარული. იმიტომ, რომ ცხოვრება ხან დაღმართია, ხან კი აღმართი.

***— ბევრი კამათი მიდის იმაზე, უნდა აღვნიშნოთ თუ არა სოხუმის დაცემის დღე. ბევრი ფიქრობს, რომ ეს უაზრო ომი იყო.***

— არ მიყვარს სიტყვა უაზრო ომი. როგორ შეიძლება უაზრო იყოს შენი ქალების ღირსების დაცვა, როგორ შეიძლება უაზრო იყოს შენი მიწის დაცვა. უაზრო იყო ის, როცა აფხაზეთში ბიჭები იღუპებიდნენ, ჩვენ კი დუბაიში დავდიოდით. ვინც ეს გააკეთა, ის არის მოღალატე. მაშინ ქვეყანა არ იბრძოდა. ერთი ნაწილი სისხლში იხრჩობოდა, მეორე კი „გულაობდა“. ასე არ შეიძლება. ეს მაშინდელი ხელისუფლების მართვის შედეგია. ქართველ მებრძოლს ომი არ წაუგია. ომი იმ პოლიტიკამ წააგო, რომელსაც მაშინდელი ხელისუფლება აწარმოებდა.

***— და მაინც უნდა აღინიშნებოდეს თუ არა ეს თარიღი?***

— სოხუმის დაცემის დღე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ. მე არ ვამბობ, რომ რამე ზეიმი უნდა მოვაწყოთ. საზეიმოდ ნამდვილად არ არის საქმე. უნდა გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებიც ამ ომმა შეიწირა და ვიმსჯელოთ იმაზე, რატომ მოხდა ეს ყველაფერი.

***— თქვენი აზრით, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? რატომ მოხდა ჩვენი და აფხაზების ასეთი გაუცხოება?***

— ამას ძალიან ღრმა ანალიზი სჭირდება. ეს საკითხი მარტივი არ გახლავთ. ვიღაცა მარტივად იტყვის, რომ რუსეთი ჩაერია. კი ბატონო, ამ ამბავში რუსეთი ნამდვილად პირველი სკრიპკა იყო. თუმცა ამ ყველაფერს გაცილებით ღრმა ფესვები აქვს. ჩვენ ცოტა ღრმად უნდა ვიცნობდეთ აფხაზურ საზოგადოებას, იმ ისტორიას, რომელიც ამ კუთხეს გააჩნია. საუბედუროდ კომუნისტური ეპოქის ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა მისცეს საშუალება რუსეთს, გაეყალბებინა ამ კუთხის ისტორია. მნიშვნელოვანია ჩრდილოკავკასიელების ფაქტორიც, რომლებიც მე-16-17 საუკუნეებში ჩამოდიან და ეპატრონებიან აფხაზეთს. მათთან გამუდმებით ომები გვქონდა. უდიდესი შემოტევა იყო მთიდან. მათ მხარს უჭერდა თავის დროზე თურქეთი, მერე რუსეთი. დღეს კი აფხაზებს ის ადამიანები უწოდებენ საკუთარ თავს, რომლებიც ამ კუთხის შვილები არ არიან. დღევანდელი აფხაზური ენა არის აბაზური ენის ერთ-ერთი დიალექტი. კერძოდ, აშხარუას ტომის დიალექტი. მე ხმლის ამოღებისკენ არავის არ მოვუწოდებ, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რაც არის სიმართლე. მინდა ვიცოდეთ, რომ გუდაუთისა და ოჩამჩირის აფხაზები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ოჩამჩირეში კოლხური ფესვია. გუდაუთაში — უფრო ადიღეური. რუსეთმა სინონიმი აფხაზეთი და აფსუა გააერთიანა. როგორც კი თურქეთი წავიდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, თავად ჩაუდგა ამას სათავეში. ასე, ნელ-ნელა და მიზანმიმართულად ხდებოდა ჩვენი გაუცხოება. ამ გაუცხოებას დღევანდელი ტექნოლოგიებით ძალიან მარტივად აღწევენ. აფხაზებზე მიდის მასობრივი ზემოქმედება. შევარდნაძემ მისცა საფუძველი, რომ ჩვენ შორის ომი დაწყებულიყო. თუმცა სისხლისღვრა ჩვენ შორის გაცილებით ადრე დაიწყო.

***— ადრე, როდის?***

— სისხლისღვრა დაიწყო 1989 წელს. მაშინ არანაირი ჯარი არ შესულა აფხაზეთში. აფხაზმა ბოევიკებმა 2 დღის განმავლობაში დაიკავეს სოხუმი, ოჩამჩირე. ეს მოხდა 1989 წლის 15-16 ივლისს. პირველი სისხლი ჩვენ შორის მაშინ დაიღვარა. პოლიტიკოსებისა და ისტორიკოსების დიდი ნაწილი ამ თარიღს დღემდე რატომღაც არ ახსენებს, არადა ყველაფერი მაშინ დაიწყო.

***— ჩვენ ხშირად ვადანაშაულებთ რუსეთს, რომ მან მოგვიწყო პროვოკაცია, მაგრამ იმაში, რაც აფხაზეთში მოხდა, ჩვენი დანაშაულიც ხომ არის.***

— ბუნებრივია, არის ჩვენი დანაშაული. ჩვენ ყველაფერზე ვთანხმდებოდით, რასაც კომუნისტები ითხოვდნენ. არც ერთი ერი ისე იოლად არ დათმობდა იმას, რაც ჩვენ დავთმეთ. დავთმეთ და ამიტომაც გვაქვს ასეთი სავალალო შედეგი.

***— საზოგადოების ერთი ნაწილი ამბობს, რომ აფხაზეთი უნდა დავიბრუნოთ იარაღით. მეორე ნაწილი ამბობს, რომ სხვა გზა უნდა მოვნახოთ. თქვენი აზრით, რომელი გზაა სწორი?***


გია გვაზავა

— მსოფლიოში ისეთი პროცესები მიდის, რომ აფხაზეთს იარაღით არავინ არ დაგვაბრუნებინებს. როცა ომის გზაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იქ დარჩენილი აფხაზები ჩვენი სისხლი და ხორცია. 1993 წლის 16-17 მარტს სოხუმზე დიდი შემოტევა იყო. ამ ბრძოლების დროს დაიღუპა 2 გვაზავა. აქედან ერთი მათგანი არის საქართველოს გმირი, ხოლო მეორე — აფხაზეთის. ამის გარდა, საქართველო არის კავკასიონის კარიბჭე და ყოველივე ის, რაც ხდებოდა ამ რეგიონში, ეს ხდებოდა ჩვენს თავზეც. ჩვენ ყოველთვის გვიწევდა თავის გადარჩენაზე ფიქრი, ხვალ თუ აფხაზი ეთნოსი გაქრება, ზეგ გაქრება ქართველი ეთნოსი. ამიტომ ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს. თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს დანაწევრების გეგმა არსებობს და ამის შესახებ ყველამ იცის. ვიცით ისიც, რომ ეს გეგმა საქართველოს ქართველების გარეშე ითვალისწინებს.

***— როგორც ამბობენ, მალე აფხაზეთი აფხაზების გარეშე დარჩება. აფხაზების ნაწილი უკვე ხვდება ამას. რამდენიმე აფხაზმა მებრძოლმა ღია წერილიც გამოაქვეყნა, სადაც ისინი კითხულობენ, რატომ ვებრძოდით ქართველებს თუკი მაინც ვინმეს დაქვემდებარებაში ვიქნებოდითო. არ იცოდნენ აფხაზებმა, რასაც მათ რუსეთი საქართველოსგან „გათავისუფლების“ შემდეგ უზამდა?***

— როგორ შეიძლება აფხაზებს ეს არ სცოდნოდათ. არ შეიძლება ყველას გაექცე და მარტო დარჩე. ჩვენგან გასაქცევი მათ არაფერი ჰქონდათ. სამწუხაროდ, მათ გააკეთეს არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ, რის შედეგებსაც ისინი ნელ-ნელა მოიმკიან. აფხაზების ნაწილი უკვე ხვდება, რა ყულფში გაყვეს თავი. ახლა ისინი ხვდებიან, რომ ევროპაზე უნდა გავიდნენ, რადგანაც ევროპა არის მათი გადარჩენა.

***— ევროპა მზადაა აფხაზეთის მისაღებად?***

— ევროპაში არიან ძალები, რომლებიც მზად არიან ცნონ აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

***— რომელი ქვეყნებია ამისთვის მზად?***

— აქ ქვეყნებზე არ არის საუბარი. მე ცალკეულ პოლიტიკოსებზე ვსაუბრობ, რომლებიც ამ ნაბიჯზე წასასვლელად მზად არიან. გამორიცხული არაფერი არ არის. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. ამ ეტაპზე მადლობა უნდა ვუთხრათ ამერიკის შეერთებულ შტატებს. სწორედ მისი პოლიტიკის შედეგია, რომ აფხაზეთის აღიარება არ მომხდარა. იმედი ვიქონიოთ, რომ არც მოხდება.

***— კონფლიქტის მოგვარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დიპლომატიას. გასაგებია, რომ ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსები ერთმანეთს არ ეკონტაქტებიან, მაგრამ რა ურთიერთობები აქვთ რიგით ადამიანებს. ქართველებსა და აფხაზებს შორის ისევ დიდი გაუცხოების გრძნობა?***

— სამწუხაროდ, გაუცხოება ისევ არის. ამ მიმართულებით რუსეთი სერიოზულად მუშაობს. ამის მიუხედავად, რაღაც გამოსავალი აუცილებლად იქნება. გენეტიკურად ადამიანი მიდის იქ, სადაც მას სისხლი ეძახის. აფხაზები ძალიან ხშირად გადმოდიან და აქ მკურნალობენ. მათ საქართველოში ძალიან სერიოზულ ოპერაციებს უტარებენ. ისინი კმაყოფილები ბრუნდებიან უკან, იქეთაც გადადიან ჩვენი ექიმები. აფხაზები ხვდებიან, რომ ქართველები არ არიან კაციჭამიები. ამიტომ არის აუცილებელი აფხაზებთან ურთიერთობა. თუ არ იქნა კონტაქტი, კიდევ უფრო გაღრმავდება გაუცხოება. როცა გერმანია გაერთიანდა, იქაც კი საკმაოდ დიდი გაუცხოება იყო. კომუნისტების დროს ხალხი თურქეთში ვერ გადადიოდა. ნათესავები ერთმანეთს ვერ ნახულობდნენ. ახლა ეს ბარიერი აღარ არსებობს. აფხაზებთანაც ასე იქნება.

***— ჩვენ შორის კედელს და მავთულხლართებს რომ ავლებენ?***

— ყველა კედელი და მავთულხლართი ბოლოს მაინც ინგრევა. ინგრევა იმიტომ, რომ ღმერთს ასე უნდა. აფხაზებს მინდა ვუთხრა, რომ ყველა ომი ადრე თუ გვიან შერიგებითა და მშვიდობით მთავრდება. თუ აფხაზებს გადარჩენა უნდათ, მაშინ ჩვენთან უნდა იყვნენ. ჩვენ ერთად უნდა გადავრჩეთ. ჩვენთან ერთად უნდა გადარჩნენ სხვა პატარა ეთნოსებიც. ნახეთ ჩეჩნეთი რა დღეშია. მათ რუსეთმა გენოციდი მოუწყო. რისი აღიარებითაც მსოფლიო თავს დიდად არ იწუხებს. მსოფლიო ორმაგი კი არა, შეიძლება ათმაგი სტანდარტითაც ცხივრობს. სადღაც 1000 კაცის სიკვდილი გენოციდია, სადღაც კი 250 ათასი ადამიანის სიკვდილი არაფერს არ ნიშნავს. ეგ ახლა არ ნიშნავს არაფერს, თორემ ადრე თუ გვიან ჩეჩნების გენოციდის აღიარებაც მოხდება.

***— მოდით ისევ აფხაზებს დავუბრუნდეთ. დაიწყება თუ არა მათთან დიალოგი. ალექსანდრე ანქვაბმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე თქვა, რომ ქართველებთან დიალოგისთვის მზად არის. იქნება დიალოგი?***

— ანქვაბი არის წესრიგის ადამიანი. ის მკაცრი ზომების მომხრე იქნება. ის ღირსეული ადამიანია, მაგრამ ის ჩვენზე არ იზრუნებს. მისი მთავარი დანიშნულება წესრიგის დამყარება იქნება. ის დღეს კრემლს ამ საქმის გასაკეთებლად სჭირდება. მისი ნამდვილი სახე მაშინ გამოჩნდება, როცა აფხაზეთში წესრიგს დაამყარებს.

***— პირადად თქვენ თუ გაქვთ აფხაზ პოლიტიკოსებთან კავშირი?***

— არა, ჩვენ ერთმანეთს ასე არ ვეკონტაქტებით. ანქვაბს, შამბას და ცხონებულ ბაღაფშს ძალიან კარგად ვიცნობდი. მე და შამბა ბავშვობის მეგობრები ვართ. ერთხელ დავწერე, რომ მე მისი დაკარგული სინდისი ვარ-მეთქი. მას წაუკითხავს და სწყენია. შემომითვალა, რატომ დაწერაო გიამ ასე.

***— პირადად არ დაურეკავს?***

— პირდაპირი კონტაქტი მათთვის აკრძალულია. ამის მიუხედავად, რაღაცნაირად მაინც ვაწვდით ხოლმე ერთმანეთს ხმას. ეს მაძლევს იმედს, რომ ჩვენ შორის აუცილებლად გალღვება ყინული და ჩვენთანაც გამოიდარებს.

## თემურ შაშიაშვილი: „საქართველოში ჯანდაცვის კუთხით კატასტროფული მდგომარეობაა“

პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერის თემურ შაშიაშვილის განცხადებით, „საქართველოში ჯანდაცვის კუთხით კატასტროფული მდგომარეობაა„.


თემურ შაშიაშვილი

შაშიაშვილის ინფორმაციით, „ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ჯანდაცვის წილი მთლიან შიდა პროდუქტში - 3,3-ჯერ, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში 2,3-ჯერ ნაკლებია“.

— სახელისუფლებო წრეებში ჩემს განცხადებას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს მიერ გაწეული სხვადასხვა ხარჯებიდან ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილით საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის ბოლოდან მესამე ადგილზეა, უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. თუმცა რეალურად ჯანდაცვის კუთხით მდგომარეობა გაცილებით უარესია. ბოლო წლებში საქართველოში სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯები პროცენტულად ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით, მხოლოდ 1,5 %-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც მსოფლიოში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 5,8 %-ს შეადგენს. მსოფლიოს 170 ქვეყნიდან საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილით საქართველო 149-ე-152-ე ადგილებს ისეთ ქვეყნებთან იყოფს, როგორიცაა იემენი, ტოგო და ერითრია. მსოფლიოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთ მცხოვრებზე საშუალოდ 478 აშშ დოლარი იხარჯება, მაშინ, როდესაც საქართველოში ამ მიზნით მხოლოდ 35 დოლარია განსაზღვრული. საქართველო აღნიშნული ინდიკატორით მაღალგანვითარებულ ქვეყნებს ზუსტად 35-ჯერ ჩამორჩება, — განაცხადა შაშიაშვილმა.

მისივე თქმით, 5 წლამდე ბავშვთა გარდაცვალების რაოდენობის მიხედვით საქართველოს ევროპის 47 ქვეყანას შორის პირველი ადგილი უჭირავს. კერძოდ, თუ ევროპაში ყოველი 1 000 ბავშვიდან 3-4 იღუპება, ჩვენში ეს მაჩვენებელი 20-ს შეადგენს.

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა შეფასებით, საქართველო იმ 20 ქვეყნის შემადგენლობაში შედის, რომლებშიც უახლოესი 10 წლის განმავლობაში მოსახლეობა გაზრდის ნაცვლად, შემცირდება. მოსახლეობის მატების მონაცემებით, საქართველო ისეთი ქვეყნების კომპანიაშია, როგორიცაა გვიანა, ბოტსვანა, სვაზილენდი, ლესოტო და ა.შ, — დასძინა შაშიაშვილმა.

**პირველი**

## ანდრია ურუშაძე პარლამენტში სამთავრობო საათზე დაიბარეს


ანდრია ურუშაძე

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხთა მინისტრი ანდრია ურუშაძე მზად არის უახლოეს სამთავრობო საათზე, პარლამენტში მივიდეს.

ანდრია ურუშაძეს სამთავრობო საათზე მისვლა ფრაქციამ „ერთობა სამართლიანობისთვის“ სთხოვა და მას კითხვები უკვე გადაუგზავნა.

განცხადება ამის შესახებ ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ კითხვები მინისტრებს და მათ შორის პრემიერ-მინისტრს უკვე გადაუგზავნა და მათ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მინისტრი გამოეხმაურათ.

ცაგარეიშვილის საპროცედურო საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი შეეკამათა და მას მათემატიკის კარგად სწავლა ურჩია.

გოგორიშვილის განცხადებით, შესაბამისი ვადა ჯერ არ გასულა და ოპოზიციამ თვლა უნდა ისწავლოს.

გიორგი ცაგარეიშვილისთვის კი ხათუნა გოგორიშვილის „განერვიულება“, მოულოდნელი არ ყოფილა.

— ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია გოგორიშვილის და სხვების ანერვიულება. სანამ პირში სული მიდგას, მათ არასოდეს არაფერს შევუთანხმებ. მოვიწვევ იმას, ვინც ფრაქციას სჭირდება და არა მაშინ, როცა გოგირიშვილ-მაჭავარიანებს უნდათ, — განაცხადა ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას ბიუროს სხდომის შემდეგ.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ კითხვები ანდრია ურუშაძესთან, საპენსიო და სადაზღვევო სისტემებს, საააფთიაქო ქსელში არსებულ და სხვა პრობლემებს შეეხება.

ჯანდაცვის მინისტრის გარდა, სამთავრობო საათზე მისვლა ფრაქციამ პრემიერ-მინისტრს, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ფინანსთა მინისტრებს სთხოვა.

სამთავრობო საათი, სავარაუდოდ, 29 ოქტომბერს გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

## ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**

ლტოლვილთა მინისტრი **კობა სუბელიანი** დაიბადა 1978 წლის 3 ოქტომბერს.

1995 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სასულიერო სემინარიაში და დაამთავრა 1999 წელს. იმავე 1999 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 2004 წელს.

1998-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოს სხვადასხვა განყოფილებებში.

1994 წლიდან იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სტიქაროსანი.

2004 წლის 1 ოქტომბრიდან 2005 წლის მაისამდე მუშაობდა სამეგრელო ზემო-სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის აღმასრულებელ დირექტორად.

2005 წლის მაისიდან 2005 წლის 2 აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად.



2005 წლის აგვისტოდან 2007 წლის ნოემბრამდე მუშაობდა თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად.

2007 წლის ნოემბრიდან დაინიშნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად.

2008 წლის აპრილში გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი.

2008 წლის ნოემბრიდან დაინიშნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად.

ჰყავს მეუღლე თამარ სულაბერიძე და ორი შვილი ნიკოლოზი და ნინო.

2011 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მინისტრი თბილისში ორ საცხოვრებელ ბინას ფლობს.

ერთი ბინა ასათიანის ქუჩაზე მდებარეობს, ხოლო მეორე ბოგდან ხმელნიცკის გამზირზე. ასათიანის ქუჩაზე მდებარე ბინის ფართი 130.32 კვ.მ.-ია, ხოლო ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე სახლი სულ რაღაც 30 კვ.მ.-ია.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, არც კობა სუბელიანი და არც მისი ოჯახის წევრები არ ფლობენ ფასიან ქაღალდებს.

რესპუბლიკა ბანკში გახსნილ ანაბარზე მინისტრს 0.0 ევრო ერიცხება.

რესპუბლიკა ბანკში გახსნილ სახელფასო ანგარიშზე 0.0 ლარი ერიცხება.

ასევე 0.0 ლარი ერიცხება სუბელიანს „ლიბერთი ბანკში" გახსნილ სახელფასო ანგარიშზე.

უკაპეიკო მინისტრი სუბელიანი არანაირ სამეწარმეო საქმიანობაში არ არის ჩართული. იგივე ითქმის მისი ოჯახის წევრებზეც.

გასულ წელს მინისტრის რანგში სუბელიანმა ჯამაგირის სახით 93.290 ლარი მიიღო.

გასულ წელს მინისტრს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ნასყიდობის შესახებ, რომლის თანახადაც ცნობილი ხდება, რომ ყველაზე გაჭირვებული ხალხის მინისტრმა ბინა 118 ათას დოლარად შეიძინა.

მინისტრს ასევე გაფორმებული აქვს სხვა ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად, მას ბინა 85 ათას დოლარად გაუყიდია.

სუბელიანი დიდი ქონებით არ გამოირჩევა. თუმცა ოპოზიცია ხანდახან მაინც საუბრობს მის ავლადიდებაზე.

მინისტრი საზოგადოების და ოპოზიციის გაღიზიანებას უფრო სხვა მიზეზების გამო იწვევს. ჩვენი დევნილები დალხენილად არასდროს ცხოვრობდნენ. სუბელიანის გამინისტრების შემდეგ კი მათი საქმე სულ უკან წავიდა, რაც მარტო მისი ბრალი არ არის.

დევნილთა გამოსახლების პროცესს სუბელიანი რატომღაც ამართლებდა. ოპოზიციის პროტესტს კი მიუღებლად მიიჩნევს. ამტკიცებს, რომ ოპოზიცია დევნილების უფლებებს საარჩევნოდ ქულების დასაწერად იცავს.

არასაპარლამენტო ოპოზიციის გარდა, მას საპარლამენტო ოპოზიციაც მტრობს. ქრისტიან-დემოკრატებმა სხვა ოპოზიციონერებთან ერთად მისი გადადგომაც მოითხოვეს. თუმცა, ამაოდ. სუბელიანი ჯერ ისევ მინისტრობს.

საინტერესო გამოსვლა ჰქონდა მას პარლამენტში. ამ გაზაფხულს პარლამენტში მთავრობა იყო მისული. მინისტრები დეპუტატებს ანგარიშს აბარებდნენ. მათ რიგებში იყო სუბელიანიც.

პარლამენტში მინისტრი თავისი მობილურით მივიდა, რომელზეც გულსამაჩუყებელი მტშ (მოკლე ტექსტური შეტყობინება) მიუვიდა. ამ მტშ-ს ამაყად აჩვენებდა ხალხს. ვითომ მას ერთ-ერთი დევნილი წერდა, ოპოზიციას თავი არ დაანებოს-ნოო. არც დაანება.

# ანქვაბს მივმართავ, ახლობლების საფლავზე ჩამიშვას

გულიკო ბალა ე

**ჭრილობა, რომელიც აფხაზეთის ომმა დატოვა, ჯერ კიდევ არ მოშუშებულა. 27 სექტემბერი 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული პროვოკაციული ომის კულმინაცია იყო, როცა დაეცა სოხუმი და ეთნიკური ნიშნით ქართველები თავიანთი მიწა-წყლიდან გამოაძევეს.**



ტატა ახალაია

გაწამებული 350 ათასზე მეტი ადამიანი დღესაც აფხაზეთში დაბრუნებას ელოდება. ამ ადამიანებმა გამოიარეს გოლგოთა, მაგრამ არ გატყდნენ, არ ავიწყდებათ აფხაზეთი და დღესაც იქ დაბრუნებაზე ოცნებობენ.

აფხაზეთიდან დევნილი მწერალი ტატა ახალაია, უკვე 18 წელია აფხაზეთში დაბრუნებაზე ლოცულობს. „ყოველი დილა ლოცვით იწყება. ღმერთს ვევედრები, რომ აფხაზეთში დაგვაბრუნოს", — ამბობს ტატა ახალაია, რომელიც აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ მშობლების საფლავზე ერთხელაც არ მისულა.

ტატა ახალაია მიმართავს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მეთაურს ალექსანდრე ანქვაბს, წელიწადში ორჯერ მაინც მისცეს საშუალება, მივიდეს მშობლების საფლავზე და პატივი მიაგოს მათ ხსოვნას.

***— ქალბატონო ტატა, 18 წელია დევნილი ხართ. დღეს რას გრძნობთ?***

— აფხაზეთზე ბევრი წიგნი მაქვს დაწერილი. მათ შორის ერთ-ერთია „ჭრილობავ ჩემო შენ აფხაზეთო". ამდენი წელი გავიდა, მაგრამ ეს ჭრილობა ჯერ არ მოშუშებულა. ღმერთმა ქნას, მოშუშდეს. იმედი მაქვს, ამაზე ვფიქრობ და ვლოცულობ ყოველდღე. განსაკუთრებით, 26-27 სექტემბერი ჩემთვის ძალიან მძიმედ გასახსენებელი დღეებია. მინდა იმ შვილმკვდარ დედებსაც მივუსამძიმრო, რომლებმაც თავიანთი შვილები აფხაზეთის მიწაზე დატოვეს. არის ერთი დედა, თამარ კილასონია, რომელმაც სამი შვილი აფხაზეთში დატოვა და დღემდე არც იცის, დამარხა თუ არა ვინმემ. აქეთ ერთი შვილიშვილი წამოიყვანა. რა უნდა ქნას ასეთმა საწყალმა დედამ, 27 სექტემბერი რომ გათენდება? მაგრამ ცხოვრება მაინც უნდა გაგრძელდეს — შვილიშვილი ახლა, ალბათ, 20 წლის იქნება. ის გაჭირვება, რომელიც ამ ქალბატონმა გადაიტანა, ენით აუწერელია. მის გულში წვიმს, თოვს, ქარბუქია.

***— ეს ქალბატონი თქვენი ნაწარმოების გმირად გყავთ გამოყვანილი?***

— დიახ, რეალური ამბავია. ახლა ისინი ბათუმში ცხოვრობენ. ამ ქალბატონს რომ ვკითხე, შვილიშვილი როგორ არის, რას შვრება-მეთქი, მითხრა, ბათუმში გადასვლაზე უარს ვამბობდი, რადგან ზღვის დანახვა აღარ მინდოდა, მაგრამ შვილიშვილმა აიჩემა, ბათუმში ვიცხოვროთო და ამიტომ გადავედით. როცა ჩემი შვილიშვილი მეგობრებთან ზღვაზე მიდის, უკან მივყვები, უბედური ქალი ვარ და არაფერი შეემთხვეს. პირველად ბათუმის ზღვაზე რომ ვიყავით, ბიჭი ზღვიდან უცებ ამოვიდა, გვერდით დამიჯდა და მითხრა, ბებია, ჯერ ვერ ჩავალო. ვკითხე, რა იყო, შვილო, რატომ ვერ ჩახვალო და კანკალი დაიწყო, ბიჭი განიცდის, სოხუმში რომ ვერ ვბრუნდებითო. ბებია, დააკვირდი, ტალღა მოდის, შემდეგ კვდება, მაგრამ კვლავ წარმოიშობა და ასე გრძელდება. წარმოიდგინე, ჩვენი ცხოვრება როგორ მოკვდა. ბებია, ჩვენთვის ახალი ტალღა როდის იქნებაო. გულში ჩავიხუტე, ორივენი ავტირდით და ვუთხარი, შვილო, ასეთი რამე რამ მოგაფიქრებინა. გთხოვ, ზღვაში შორს არ წახვიდე. არა, ბებია, ცოტა ცოტა დამშვიდება მჭირდება. ბათუმის ზღვა ძალიან ცივი მომეჩვენა. ასე მგონია, სოხუმის ზღვა უფრო თბილი იყოო. როცა ქალბატონი თამარ კილასონია ამ ამბავს ტელეფონით მიამბობდა, ტიროდა და მეც ავტირდი. ბიჭი ახლა სტუდენტია. მან ბებიას უთხრა, ბებია, თავს თავისუფლად არ ვგრძნობ, ჩვენს სოხუმში რომ არ ვარ. არც ბალახი, არც ხე, არც ბუჩქი აქეთ ისეთი არ არის, როგორიც სოხუმში იყოო. ამას რომ მიყვებოდა, ტიროდა და საშინლად განიცდიდა. წარმომიდგენია, ამ ქალბატონისთვის 27 სექტემბერი როგორი საშინელება იქნება. აცნობეს, რომ მისი შვილები დაიღუპნენ, მაგრამ არ იცის, მისი შვილები დამარხეს თუ არა და სად არიან დამარხულები. როცა მისი შვილის ამხანაგებმა შვილების დაღუპვის შესახებ უთხრეს, შვილიშვილი ხელში ეჭირა. ეს მაინც გადავარჩინოო და აქეთ გადმოვიდა. შვილები რომ ეძებნა, მაინც ვერ ნახავდა, იმ პერიოდში ისეთი ამბავი იყო. ასეთი უბედურებაა ჩვენს თავს.

***— ასეთი უბედურება დატრიალდა 1993 წლის 27 სექტემბერს და ეს ტრაგიკული თარიღი დღემდე გვახსენებს თავს, რადგან მას შემდეგ სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა.***

— მიუხედავად ამისა, არც ერთი ჩემი ნაწარმოები უიმედოდ არ სრულდება. ვფიქრობ, მომავალში ვითარება შეიცვლება, აფხაზეთს და ცხინვალს დავიბრუნებთ. ჩემს შვილიშვილებს მაინც შეეძლებათ აფხაზეთში დაბრუნება.

***— 27 სექტემბერს რას გრძნობთ ხოლმე?***

— სულ ვლოცულობ. დილით გავდივარ აივანზე, ვუყურებ სამების ტაძარს (და სხვა ტაძრებსაც) და ვლოცულობ, ღმერთო, დიდებულო, დაგვაბრუნე აფხაზეთში! ვფიქრობ, უფალი ისე არ დაგვტოვებს, რომ აფხაზეთში არ დაგვაბრუნოს. ჩვენი მიცვალებულები, აფხაზეთში საფლავებში წვანან.

***— რომელიც დღეს მიტოვებულია.***

— დიახ, დღეს მიტოვებულია. იმ მეომრების საფლავები, რომლებიც ალბათ დამარხეს, მიტოვებულია. ჩემი დედ-მამისა და და-ძმების საფლავზე რატომ არ უნდა შემეძლოს მისვლა? ანქვაბს მივმართავ (ეს ჩემი გულიდან ამოხეთქილი სიტყვებია, რომელიც მას გულზე უნდა მოხვდეს და გულთან მიიტანოს), ყოველ ქართველს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც ჰქონდეს უფლება, თავისი გარდაცვლილების საფლავთან მივიდეს, აუნთოს სანთელი, ილოცოს და მშვიდობიანად გადმოვიდეს. აფხაზთა შორის ბევრი ამხანაგი და ნათესავი მყავს, ხომ შემიძლია, ერთი ღამე მასთან გავათიო და შემდეგ წამოვიდე. რა, არ მაქვს უფლება, ჩემს მშობლიურ მიწაზე ფეხი დავდგა და ჩემს მკვდარს პატივი მივაგო? თუ ანქვაბმა ეს ვერ გაიგო, აფხაზეთსა და აფხაზ ხალხს კარგი არაფერი მოელის. თვითონაც ხვდებიან ამას. ცნობილია, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები არძინბას როგორ მოექცნენ — თავი გადახსნეს, უთხრეს სიმსივნე გაქვსო. ბალაფში წაიყვანეს, იქიდან ჯანსაღად იძლეოდა ინტერვიუებს და ორ დღეში გარდაიცვალა.

***— ამბობენ, ბალაფში მოკლესო.***

— დიახ, ამბობენ ბალაფში მოკლესო. ამას ხომ უნდა ყურადღების მიქცევა. არ შეიძლება ამდენი წლის მეგობრობა, ამდენი წლის ამხანაგობა და ნათესაობა დაიკარგოს. ანქვაბს წინ პრობლემა აქვს. ნუ დაუდებს თავს რუსეთს, თავი მიადოს საქართველოს, სადაც მისი ნათესავები ცხოვრობენ. რამდენი აფხაზი ცხოვრობს აქეთ, ბათუმში, თბილისში. ილია ჭავჭავაძე რომ ჩავიდა სამეგრელოში, თქვა, აი, აქ ვნახე საქართველოო. ვაჟა-ფშაველა ენგურს რომ გადავიდა, თქვა, აქ ვხედავ საქართველოსო.

***— ანქვაბი, რომელზეც ამბობენ, რომ ქართული წარმომავლობისაა, როგორც ჩანს, საერთოდ, ვერ ხედავს საქართველოს, რადგან თავს აფხაზად აღიარებს. თუ მან საქართველო დაინახა, მაშინ თქვენს მიმართვას ყურად იღებს.***

— ეროვნებას არ აქვს მნიშვნელობა. ჩვენი წინაპრების საფლავებთან მიგვიშვან. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე? ადამიანისთვის დუმილი წამებაა. ამიტომ ანქვაბი წამებული რომ არ წავიდეს ამ ქვეყნიდან, ქართველ ერს უნდა დაუახლოვდეს. ჩვენ შორის უნდა მოხდეს მოლაპარაკება.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ანქვაბი დუმს?***

— დუმს. სათქმელს ზეწოლის გამო ვერ ამბობს. რამდენიმე დღის წინ იქ მოხდა აფეთქება, არასასიამოვნო სიტუაციაა. ჩვენი ოცნებაც ასახდენია და აფხაზი ხალხისაც.

***— აფხაზი ხალხის ოცნება, როგორც თვითონ ამბობენ, სხვაა — აფხაზეთის მიწას მხოლოდ თავისად მიიჩნევენ და ქართველები არ უნდათ. მათ ისტორია თავისებურად გადაწერეს. ჩვენს ოცნებებს რამდენად ემთხვევა?***

— ასეა, მაგრამ მათი ისტორია ნამდვილი არ არის. ანქვაბზე სულ სხვა წარმოდგენა მაქვს. აფხაზმა ხალხმა ხმა რომ მისცა, ეს იმას ნიშნავს, მას ენდობა. ჩემი დეიდაშვილი იქ ცხოვრობს. ის ხშირად მეუბნება, რომ აფხაზი ხალხი მოწყურებულია ქართველებთან სიახლოვეს. ერთი წიგნი მაქვს დაწერილი „გულისტკივილზე გაბმული კვნესა". ნაწარმოებში ზუგდიდში დადიანების მუზეუმში ქართველები და აფხაზები შევახვედრე. ასევე იყო ნანეტა დადიანი, ეკატერინე დადიანი შტოს წარმომადგენელი. შევახვედრე აფხაზებისა და ქართველების, როგორც ძველი თაობა, ასევე ისინიც, ვინც ომობდნენ, მაგრამ ყველა მათგანს მოჰყვა ახალგაზრდობა, შვილები და შვილიშვილები. ისინი მაგიდას მიუსხდნენ და დაიწყეს იმის გასამართლება, ვინ დაიწყო ომი, ვინ არის დამნაშავე. არც ერთი მხარე მართალი არ აღმოჩნდა. არც ჩვენ ვიყავით მართალი და არც აფხაზები. საბოლოოდ, ისინი ვერ შეთანხმდნენ და სხვადასხვა მხრიდან გავიდნენ, მაგრამ ახალგაზრდობა დარჩა. მათ შორის, ერთ ლამაზი გოგო იყო, სოხუმელი, მაგრამ აქ ცხოვრობდა დევნილი. ბიჭი სოხუმიდან გახლდათ. მან ღვინო დაუსხა და უთხრა, ჩემო კარგო, ზღვა არ გენატრებაო? ჩვენმა გოგომ უპასუხა, ბათუმში დავდივარო. რატომ ბათუმში, სოხუმში რომ ჩამოხვიდე, რა იქნებაო? თქვენთან ჩამოსვლა შეიძლება, თქვენ ვინმეს უშვებთო? მე შენ ენგურთან დაგხვდები, ოღონდ შენ ჩამოდიო. ერთი ნახვით სიყვარულის ძაფი გაება აფხაზ ბიჭსა და ქართველ გოგონას შორის. აფხაზსა და ქართველს შორის ოდითგანვე ურთიერთობის ასეთი ატმოსფერო იყო. ამ პიესას ისე ვამთავრებ, რომ ჩვენი შერიგება გარდაუვალია მხოლოდ მთავარი როლი ახალგაზრდებმა უნდა ითამაშონ.

***— ძალიან ბევრს ეშინია, რომ ის თაობა, ვისაც ახსოვს ქართველები, ისე არ წავიდეს, რომ შერიგება არ მოხდეს, რადგან რუსეთის წიაღში გაზრდილ ახალგაზრდობას ქართველებთან არანაირი კავშირი არ აქვს და არც ახსოვს ისინი.***

— ამიტომ ახალგაზრდები ერთმანეთს ხშირად უნდა შეხვდნენ. როგორც ვიცი, ანაკლიაში აფხაზეთიდან ჩამოვიდნენ და ახალგაზრდები ერთმანეთთან ძალიან კარგად იყვნენ.

## ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი ლოცვა გაიმართა

გუშინ, 26 სექტემბერს „თავისუფალი დემოკრატების" თხოვნით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად, დღეს ყველა კონფესიის ტაძარში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი ლოცვა გაიმართა.

დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად ილოცეს, როგორც მართლმადიდებლურ, ასევე, სომხურ, კათოლიკურ, ბაპტისტურ ეკლესიებში და სინაგოგაში

როგორც „თავისუფალი დემოკრატები" აღნიშნავენ, აფხაზეთის ომში დაიღუპა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური აღმსარებლობის ჩვენი თანამემამულე, ამიტომ მათი სულები ყველა რელიგიური აღმსარებლობის ტაძარში უნდა მოიხსენიონ. შეგახსენებთ, რომ დღეს 27 სექტემბერს სოხუმის დაცემიდან 18 წელი სრულდება.

**მედიანიუსი**

# ალეკო შალამბერიძე: „ვეტერანებს ნორმალური ცხოვრების პირობები უნდა ჰქონდეს“

ნათია ხურცილავა

**2§ სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები გმირთა მემორიალთან ხსოვნის აქციას გამართავენ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დევნილთა და ვეტერანთა პრობლემებზე მუშაობენ, გაიხსენებენ იმ გმირებს, რომლებმაც საქართველოს ერთიანობისთვის სამშობლოს სიცოცხლე შესწირეს.**

— ეს ტკივილიანი დღე ისევ გვახსენებს იმ ტკივილს, რომელიც ჯერ კიდევ მოუშუშებელია. პატივს მივაგებთ იმ გმირებს, რომლებიც დაიღუპნენ, მაგრამ ამასთანავე ჩვენ გვინდა შევახსენოთ ხელისუფლებას ის პრობლემები, რომლებიც არსებობს და ცოცხალ ადამიანებს ეხებათ. ეს პრობლემები არსებობს და მას გადაწყვეტა უნდა, ამას ხელისუფლების გასაგონად ვამბობ. ჩვენი ამოცანაა, რომ ხელისუფლებას ყოველ წუთს შევახსენოთ, რომ დევნილები სახლებში უნდა იყვნენ, ვეტერანები ნორმალურ პირობებში უნდა იყვნენ და არა აქციაზე საშიმშილოდ, — განაცხადა ალეკო შალამბერიძემ.

შალამბერიძის განცხადებით, ისინი არ დაიშურებენ ენერგიას, რომ ხელისუფლებამ შეისმინოს იმ ადამიანების, რომელიც დევნილობაში ცხოვრობენ, რომლებსაც კვლავ უწევთ საცხოვრებელი ადგილების მიტოვება და სხვაგან გადასვლა.

— ჩვენი ძალა უნდა ვაჩვენოთ ხელისუფლებას. ურყევი გადაწყვეტილება უნდა ვაჩვენოთ ხელისუფლებას, რომ არ ვაპირებთ შეგუებას, რომ ამ ქვეყანაში ადამიანები იყვნენ ტერორის ქვეშ, ადამიანები იყვნენ ჭერის გარეშე, ქუჩაში გამოყრილები და არ ჰქონდეთ ლუკმაპურის შოვნის საშუალება, — ამბობს შალამბერიძე.

„დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების“ თავმჯდომარემ მანუჩარ სიგუამ დევნილებს მოუწოდა, რომ პატივი მიაგონ აფხაზეთის ომში გმირულად დაცემულთა სულებს.

მანუჩარ სიგუას განცხადებით, ის წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც დევნილების უფლებებს იცავს ყველგან.

— ხუთი ათასი დევნილი



არის გამოსახლებული. გაუსაძლისი არის დევნილების ყოფა. ამ ადამიანებს სჭირდებათ დაცვა. ამას ხელისუფლებას ყოველ წუთს შევახსენებთ. „დევნილთა სამოქალაქო საზოგადოება“ დევნილებთან ერთად შევიკრიბებით გმირთა მოედანზე, რათა პატივი მივაგოთ გარდაცვლილ გმირებს, რომლებმაც საქართველოსთვის თავი დადეს, ბრძოლის ველზე უკანასკნელ წუთამდე იბრძოლეს. აფხაზეთის ტრაგედია არ დასრულებულა, ის გრძელდება, გრძელდება დევნილების შევიწროვებით, მათი საცხოვრებელი სახლებიდან გამოყრით, უცხო ადგილებში მათი გადასახლებით. ეს ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. ჩვენი ორგანიზაცია დევნილთა გამოყრის ფაქტებს, მათი უფლებების შელახვას, არაადამიანურ პირობებში არსებობას აპროტესტებს. მინდა ხელისუფლებას ვუთხრა, რომ დევნილები ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ომი და ყველა გაჭირვება გამოიარეს. 27 სექტემბერი არის დღე, როდესაც სოხუმი დაეცა და საქართველო იმ ტკივილებს დღესაც ვერ იშუშებს, — გვითხრა მანუჩარ სიგუამ.

აფხაზეთის ომის ვეტერანებისთვის 27 სექტემბერი ყველაზე მძიმე დღეა, რადგან მათ თანამებრძოლები დაკარგეს.

ვეტერანთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია „ვეტერანები ვეტერანებისთვის“ წარმომადგენელი აცხადებს, რომ მათ კიდევ შეუძლიათ სამშობლოს დაცვა.

— ვეტერანებს მოვუწოდებ, რომ გმირთა მემორიალთან შევიკრიბოთ და პატივი მივაგოთ ჩვენს დაღუპულ, ბრძოლის ველზე დაცემულ ბიჭებს. დღეს ვინც ცოცხლები დავრჩით, ჩვენს მთავრობას ყოველ წუთს უნდა შევახსენოთ, რომ ჩვენ ცოცხლები დავრჩით, რომ ჩვენ კიდევ შეგვიძლია სამშობლოს დაცვა და ღირსეული ცხოვრებაც, — განაცხადა დავით დავითაშვილმა.

არასამთავარობო ორგანიზაციის წარმომადგენლების აქციას, რომელიც გმირთა მემორიალთან გაიმართება, „თავისუფალი საქართველო“ და ლაშა ჩხარტიშვილი შეუერთდება.

რაც შეეხება ეროვნული ფორუმის მიერ დაგეგმილ აქციას, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, ისინი შეუერთდებიან აქციას.

ალეკო შალამბერიძე აცხადებს, რომ ის მონაწილეობას იღებდა ყველა აქციაში და შესაბამისად „ქართველთა მარშსაც“ შეუერთდება.

# როდის დადგინდება სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანთან

ნათია ხურცილავა

**საგარეო უწყება მალაიზიაში დაკავებული ქართველების შესახებ ახალ ინფორმაციას არ ფლობს საქართველოს საგარეო უწყებამ, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინისა და პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის შეთანხმებაზე კომენტარი გააკეთა.**



საქართველოს დიპლომატიური უწყება პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის გარიგებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინასწარ დაგეგმილ მოქმედებას უწოდებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ჯალაღანიას განცხადებით, დადასტურდა, თუ ვინ იყო რეალური ხელისუფალი რუსეთში.

რუსეთის პრეზიდენტმა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმერ პუტინის კანდიდატურა დაასახელა.

ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი თანამდებობებს გაცვლიან. პუტინი გაპრეზიდენტდება, მედვედევი კი გაპრემიერდება.

— ეს მოსალოდნელი იყო. დიდი ოპტიმიზმის საფუძველი არ გვაქვს იქიდან გამომდინარე, თუ რა პოლიტიკას ატარებს რუსეთის ხელისუფლება. ის პარტია, რომლის ლიდერიც დასახელდა პრეზიდენტობის კანდიდატად, ამან დაადასტურა ჩვენი მიდგომის სისწორე იმის შესახებ თუ ვინ იყო რეალური ხელისუფალი რუსეთში, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განხილვის საგანი გახდა, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი ინციდენტია.

საგარეო უწყება არ ფლობს ინფორმაციას საქართველო-საზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ზაქათალას რაიონის სოფელ ალიაბადის პირველი საშუალო სკოლის ქართული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ელინათი საფაროვა დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა პარლამენტარ დიმიტრი ლორთქიფანიძეს.

ქართული სექტორის მასწავლებლის ინფორმაციით, საზღვარზე მას აზერბაიჯანელებმა მეორე კლასის ქართული სახელმძღვანელოები ჩამოართვეს.

როგორც მასწავლებელი ამბობს, მათემატიკის სახელმძღვანელოს 54 ეგზემპლარი და ქართული სამუშაო რვეულები.

საფაროვა აცხადებს, რომ აღნიშნული ქმედება მიმართულია ქართული სექტორების დახურვისკენ იმ საბაბით, რომ არ არსებობს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ უწყება დაინტერესდება აღნიშნული საკითხით და კომპეტენციის ფარგლებში მოახდენს რეაგირებას.

— ჩვენ აუცილებლად დავინტერესდებით ამ საკითხით, რადგან საქართველოს მოქალაქის, მისი უფლებების დაცვა ყველა სახელმწიფო სტრუქტურის, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოვალეობაც არის. ჩვენ შესაბამისი სტრუქტურები მოგვაწვდიან დამატებით ინფორმაციას და რეაგირებაც შესაბამისი იქნება, — აღნიშნა ჯალაღანიამ.

ჯალაღანია, კითხვაზე რა მდგომარეობაა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარის დემილიტაცია-დემარკაციასთან დაკავშირებით, აცხადებს, რომ ვითარება არ შეცვლილა.

მისი თქმით, რაიმე ახალი კილომეტრი შეთანხმებულ ტერიტორიებს არ დამატებია. როგორც მინისტრის მოადგილემ განმარტა, არსებული ვითარებით 450 კილომეტრიდან 160 კილომეტრი შესათანხმებელი დარჩა.

— ეს არის რამდენიმე მონაკვეთი, რომელიც მსჯელობის საგანია. შექმნილია სადელიმიტაციო კომისიები. ორივე მხრიდან გვაქვს დინამიკური კონტაქტები, არის ჯანსაღი მუშაპროცესი და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მუშაობა ციფრებშიც აისახება, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

26 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში ეუთოს ადამიანური განზომილების ფარგლებში ყოველწლიური საიმპლემენტაციო შეხვედრა გაიმართება.

ქართული მხარე ეუთოს შეხვედრის მონაწილეებს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს გააცნობს. ცნობილია, რომ ქართული მხარე შეხვედრაზე საარჩევნო კოდექსის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრებს. დელეგაცია ყურადღებას ასევე გაამახვილებს რელიგიურ გაერთიანებათა მიმართებაში შემუშავებულ კანონთან დაკავშირებით.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა ინფორმაცია ტუვალუს დახმარების შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ ვერ დააკონკრეტა თანხის რაოდენობა, თუმცა, აღნიშნა, რომ საქართველომ ტუვალუს სამედიცინო აღჭურვილობა გადასცა, რაც ტუვალუს მხარის თხოვნით მოხდა.

— ამაში გასაკვირი არაფერია. ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა საერთაშორისო ურთიერთობების ასპექტში, რითაც ჩვენ ტუვალუს დავეხმარეთ, იყო სამედიცინო აღჭურვილობა, — ამბობს ჯალაღანია.

რაც შეეხება ინფორმაციას, ტუვალუს მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებას, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ცნობით, საგარეო უწყება ფლობს რუსულ-აფხაზური მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და აღნიშნული ფაქტის ოფიციალურად დადასტურების შემთხვევაში, ქართული მხარის რეაქცია ადეკვატური იქნება.

დავით ჯალაღანია აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობის უფლების მქონე სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ავსტრიაში შემავალი შენგენის „ც“ კატეგორიის ვიზა თბილისში, შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოში გაიცემა.

შენგენის „ც“ კატეგორიის ვიზის 90-დღიანი შესვლის უფლების გაცემა პირველი ოქტომბრიდან დაიწყება. აქამდე ეს შეუძლებელი იყო. მოქალაქეებს ბაქოში ან კიევში ავსტრიის საელჩოში უწევდათ მიმართვა, რომ „ც“ კატეგორიის ვიზა მოეპოვებინათ. რაც შეეხება „დ“ კატეგორიის ანუ უშუალოდ ავსტრიის ვიზის მოპოვებას, ბაქოში ავსტრიის საელჩოში იქნება შესაძლებელი.

ისევ აქტუალურია მალაიზიაში დაკავებული ქართველი ქალბატონების ბედი. საქართველოს დიპლომატიურ უწყებას მალაიზიაში დაკავებული ქართველების შესახებ ახალი ინფორმაცია არა აქვს. ბაბუცა გორდაძე და დარეჯან კოხტაშვილი მალაიზიაში ნარკოტიკული ნივთიერების ამფიტამინის დიდი რაოდენობით გადატანის დროს დააკავეს.

მალაიზიური კანონმდებლობით, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში დამნაშავე პირს სიკვდილით დასჯა ემუქრება.

როგორც დავით ჯალაღანიამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, სასამართლო პროცესის დროს ენის ბარიერი გამოიკვეთა, კომუნიკაციის პრობლემა, რაც სხდომების გადადების მიზეზი ხდება.

# ხიდაშელი საკრებულოს სხდომების სხვაგან ჩატარებას ითხოვს

ნათია ხურცილავა

საკრებულოს რესპუბლიკელი წევრი, თინათინ ხიდაშელი საკრებულოს სხდომების ჩატარებას სხვა შენობაში ითხოვს.

როგორც ცნობილია, საკრებულოს შენობას, რომელიც თავისუფლების მოედანზე მდებარეობს, სარემონტო სამუშაოები უტარდება.

მე-19 საუკუნის ისტორიული სტატუსის მქონე ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია. ამდენად, მისი რესტავრირება აუცილებლობით არის გამოწვეული.

თინათინ ხიდაშელი აცხადებს, რომ ერთ ოთახში რამდენიმე უწყების თანამშრომლის ერთად მუშაობა შეუძლებელია და ის არ იძლევა ნაყოფიერად შრომის შესაძლებლობას.

ხიდაშელი აცხადებს, რომ თბილისის საკრებულოსთვის გათვალისწინებულ სხდომათა ოთახში სხდომების გამართვა, საკრებულოს 50 წევრისა და ქალაქის მერიის წარმომადგენლების, ასევე საკრებულოს აპარატის თანამშრომლების ერთ ოთახში ყოფნა და მუშაობა შეუძლებელია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ხიდაშელი ითხოვს საკრებულოს სხდომებისთვის შესაბამისი სივრცე თბილისში არსებულ ათობით სახელმწიფო დაწესებულებებსა თუ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში გამოინახოს, რათა მოხდეს კანონით გათვალისწინებული საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.

— გაუმართავია ტექნიკური საშუალებები და შეუძლებელია სხდომის მიმდინარეობის, იქ გამოთქმული მოსაზრებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ტექნიკურ-ელექტრონულ მატარებელზე გადატანა, რაც სხდომის მიმდინარეობის დოკუმენტურად ასახვას შეუძლებელს ხდის, — აცხადებს თინათინ ხიდაშელი.



თინათინ ხიდაშელი 30 სექტემბრის საკრებულოს სხდომაზე, საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, დასუფთავებისა და საბავშვო ბაღებში შემოღებული გადასახადის შესახებ ანგარიშის მოსასმენად თბილისის მერიის შესაბამისი თანამდებობის პირების დასწრებას ითხოვს.

რამდენად გაითვალისწინებს თბილისის საკრებულო ოპოზიციონერი დეპუტატის აღნიშნულ მოთხოვნებს, ეს ჯერ უცნობია.

# პატრიარქი 450 ჩვილს მონათლავს



ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 29 სექტემბერს სამების საპატრიარქო ტაძარში კიდევ 450 პატარას მონათლავს. მე-18 საჯარო ნათლობა სამების ტაძარში 13 ივლისს, 12 მოციქულის ხსენების დღეს შედგა. მაშინ ილია მეორემ 500 ბავშვი მონათლა.

მისი უწმინდესობის გადაწყვეტილებით, რიგით მეცხრამეტე საყოველთაო ნათლობა ამჯერად არარელიგიურ დღეს დაემთხვა. საჯარო ნათლობა სამების ტაძარში დღის მეორე ნახევარში გაიმართება.

საქართველოს პატრიარქს ამ დროისთვის უკვე 9200-ზე მეტი ნათლული ჰყავს. ილია მეორემ საქართველოში დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის მიზნით, ქართულ მოსახლეობას გააცნო თავისი ინიციატივა — მშობლების სურვილის შემთხვევაში, ის მზად იყო, მოენათლა ყოველ ჯვარდაწერილ ოჯახში დაბადებული მესამე და მომდევნო შვილი. ჩვილთა პირველი საჯარო ნათლობა წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე შედგა. ილია მეორე მზად არის, ჯვარდაწერილი მშობლების მეოცე შვილიც მონათლოს და მას ქართული ეკლესიის ტახტის მცველის ტიტული მიანიჭოს.

# ესტონეთის ეროვნული არქივის დელეგაცია საქართველოში

ეკა ირემაშვილი

ესტონეთის ეროვნული არქივის დელეგაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს ეწვია. დელეგაციის წევრები — ესტონეთის სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელი მარე ოლდე, ესტონეთის ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მოადგილე მარგე ტიდუსი, ციფრული დაცვის ბიუროს პროექტების მენეჯერი კოიტ საარევეტი და ესტონეთის არქივის სხვა წარმომადგენლები ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს თეონა იაშვილს შეხვდნენ. შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს მომავალი თანამშრომლობის გეგმებსა და ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივებზე.

— ჩვენი ესტონელი კოლეგები დაინტერესდნენ ეროვნული არქივის საქმიანობით, ჩვენთან დაცული დოკუმენტებით. ისინი რუსთავის იუსტიციის სახლსაც ეწვევიან და ადგილზე გაეცნობიან იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების მომსახურების თანამედროვე სტანდარტებს, — განაცხადა საქართველოს ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

შეხვედრის შემდეგ დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს საისტორიო არქივსა და კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაცული უნიკალური მასალები, გაეცნენ ესტონეთი-საქართველოს ურთიერთობების ამსახველ ფოტო და წერილობით დოკუმენტებს.

საქართველოსა და ესტონეთის ეროვნულ არქივებს შორის ურთიერთობა 2011 წლის მაისში დაიწყო, როდესაც ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი ესტონეთის ეროვნულ არქივს ეწვია. მხარეთა მოლაპარაკების შედეგად, მიმდინარე წლის სექტემბერში ეროვნული არქივის დელეგაცია იმყოფებოდა ესტონეთში, სადაც გაეცნო ციფრული არქივების ფორმირებისა და დოკუმენტების დიგიტალიზაციის საკითხებს. დელეგაციის წევრებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს ელექტრონული მთავრობის, უნივერსალური და არქივების მოდულის, ციფრული საარქივო ჩანაწერების პროექტის შესახებ.



ბათუმის იუსტიციის სახლში კი გამოფენა „ძველი და თანამედროვე ბათუმი“ გაიხსნა, სადაც XIX-XX-XXI საუკუნეებში გადაღებული ბათუმის ხედები იქნა წარმოდგენილი. ისტორიული ფოტოები ცნობილ ფოტოგრაფს დიმიტრი ერმაკოვს და სხვა უცნობ ავტორებს ეკუთვნის, თანამედროვე ბათუმი კი ფოტოკადრებზე გურამ წიბახაშვილმა ასახა. პროექტის ავტორი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული არქივი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საარქივო სამმართველოა. არქივებში დაცული ძველი ფოტოების ანალოგები გურამ წიბახაშვილმა თანამედროვე ბათუმში მოძებნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო XXI საუკუნის ის ფოტოებიც, რომლებიც შავი ზღვისპირა ქალაქის თანამედროვე არქიტექტურას ასახავს. გამოფენაზე, ფოტოებთან ერთად, დამთვალიერებლის სამსჯავროზე გამოტანილ იქნა ფრაგმენტები დოკუმენტური კინოფილმებიდან „დღე ბათუმში“ და „მზიური აჭარა“. ბათუმის იუსტიციის სახლში გამოფენა ერთ კვირას გასტანს. ესტონური მხარის საპასუხო ვიზიტი საქართველოს ეროვნულ არქივში კი 27 სექტემბერს დასრულდება.

# ტარიელ ჭანტურიამ წიგნის პრეზენტაცია მოაწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში ცნობილმა ქართველმა პოეტმა ტარიელ ჭანტურიამ ახალი ლექსების კრებულის პრეზენტაცია მოაწყო. ახალი კრებული სახელწოდებით „საიტ.უმლო ბარათი-2“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა და ავტორის შემოქმედების შემაჯამებელ კრებულს წარმოადგენს. იგი აერთიანებს ტარიელ ჭანტურიას როგორც ახალ, ასევე რჩეულ ადრინდელ ნაწარმოებებს.

ტარიელ ჭანტურიამ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენისთანავე ყურადღება მიიქცია გაბედული ექსპერიმენტებითა და სიახლისადმი ლტოლვით. თავის შემოქმედებაში იგი ხშირად მიმართავს ირონიას, პაროდიას, პარადოქსს, გროტესკს, სლენგს. სხვადასხვა წლებში მის მიერ გამოცემული კრებულები „საქანელა“, „ქვა და ომი“, „ახალი მთვარე“, „ორნი“, „დაწყვეტილი სერპანტინი“, „წყნარი მზის წელიწადი“, „თაფლობის საუკუნე“, „პოემები“, „სტრესები და სიტყვები“, „რჩეული“, „ბოლთა“, „მწერლის წითელი წიგნი“ მკითხველში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ტარიელ ჭანტურიას ეკუთვნის ასევე საბავშვო ლექსების კრებულები, კრიტიკული წერილები და თარგმანები.



ტარიელ ჭანტურიას ახალი კრებულის პრეზენტაციას პოეტთან ერთად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა უძღვებოდა. პრეზენტაციაზე მსმენელთა რანგში მრავლად იყვნენ პოეტის კოლეგები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები თუ უბრალოდ მისი პოეზიის მოყვარულნი.

**ტარიელ ჭანტურია, პოეტი:**

— დღეს ჩემთვის განსაკუთრებულად გამორჩეული და ბედნიერი დღეა. ჩემი ახალი წიგნი „საიტ. უმლო ბარათი 2“ მოიცავს როგორც ჩემს ძველ ნაწარმოებებს, ასევე ახალ ნამუშევრებს. მიხარია, რომ ჩემს მკითხველს პირადად შევხვდი. ნებისმიერი პოეტისთვის, მწერლისთვის თუ პუბლიცისტისთვის, თავის მკითხველთან შეხვედრა ყველაზე მნიშვნელოვანია. ძალიან კარგად ვიცი, რომ მკითხველმა ყველაზე ყველაფერი იცის და რომ ყველა პოეტზე მისთვის ყველაფერი ცნობილია. მადლობა კულტურის სამინისტროს, რომ ჩემს მკითხველთან მორიგი შეხვედრის ტექნიკური საშუალება მომცა.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

— ტარიელ ჭანტურია და მისი შემოქმედება თითოეული ქართველისთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. სასიამოვნოა, რომ ცოცხალი დიალოგი შედგა ტარიელ ჭანტურიასა და მის მკითხველს შორის. სასიამოვნოა, რომ ეს წიგნი უკვე მკითხველის სამსჯავროზეა. კულტურის სამინისტრომ ხელი შეუწყო ხელოვანს, რომ მისი ახალი და ძველი, მაგრამ გამორჩეული ნაწარმოებები ამ კრებულში გაერთიანებულიყო. კრებული პოეტის შემოქმედების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს, ამიტომ სულითა და გულით ვულოცავ ამ პირველ წიგნს და კიდევ სიამოვნებით დაველოდები მისგან სიახლეებს.

## განცხადებები

მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 568-657-486; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მკურნალობა (მწვავე და ქრონიკული, გასტრიტი, სველი და მშრალი კოლიტი, ენტერიტი, ყაზბობა, დიარეა, დისბაქტერიოზი), ორგანიზმის წმენდა ტოქსინებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა, სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება) მცენარეული საშუალებებით. ტელ: 234-02-38; 790-503-411 ქ-ნი ნონა.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

# დინამო ისევ თავშია

**დინამო — მერანი 2:1**

**თბილისი.** ტექნიკური ცენტრი "ბასა". 400 მაყურებელი

1:0 კოშკაძე (43), 2:0 ოდიკაძე (49 პენ), 2:1 რეხვიაშვილი (70სკ)

**დინამო:** ლორია (გრიშიკაშვილი 32), პომოლა, რეხვიაშვილი, ოდიკაძე, თომაშვილი, კოშკაძე, კვეკვესკირი, ლექვთაძე, კოტო, ალვარო (კაშია 85), ფანცხავა (ჩისკო 63)

**მერანი:** შეროზია, კაკუშაძე, ჟვანია, იობაშვილი, დიდავა, მანწკავა (მემარნიშვილი 54), ე.გრიგალაშვილი, სამადაშვილი (ტაპე 54), ჩალაძე, ამბროლაძე, სუხიაშვილი

წაგების მიუხედავად, „მერანმა" საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და, ფაქტია, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტი გუნდი ამ სეზონის ერთ-ერთ სასიამოვნო აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ. რასაც ვერ ვიტყვით დინამოელებზე — მათ, შემადგენლობიდან გამომდინარე, აშკარად მეტი მოეთხოვებათ.

საწყის წუთებში „დინამო" ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან უტევდა, სადაც კარლეს კოტო აქტიურობდა. თუმცა, შეხვედრის პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს — გურამ სამადაშვილის ეფექტური დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

ამის შემდეგ, ტაიმის ბოლომდე ტერიტორიულ უპირატესობას დინამოელები ფლობდნენ, თუმცა მიკელე ალვაროსა და ირაკლი ლეკვთაძის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. ვახტანგ ფანცხავას აქტიურობის შედეგად კი სტუმართა კაპიტანს გიგა ჟვანიას ბურთი „აეჭრა" და „მერანის" მეკარეს ჯონი შეროზიას რომ არ ეყოჩაღა, ავტოგოლსაც ვნახავდით.

32-ე წუთზე მასპინძლები ძირითადი მეკარის გარეშე დარჩნენ — გიორგი ლორიას სტუმართა მარცხენა მცველის, ანზორ სუხიაშვილის გარღვევის შეჩერება ყვითელ ბარათად და სერიოზულ ტრავმად დაუჯდა.

„დინამომ" პირველ ტაიმში მაინც გაიტანა და შესვენებაზე დამშვიდებული გავიდა — ირაკლი ლეკვთაძისა და ფანცხავას აქტიურობის შემდეგ დინამოელთა კაპიტანმა ალექსანდრე კოშკაძემ მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტად დაარტყა და თავისი გუნდი დააწინაურა — 1:0.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, ფანცხავამ მოედნის ცენტრიდან შეტევა დაიწყო, რომელშიც კოტო რომ ჩართო, ესპანელის ჩაწოდებულის შემდეგ კარში ალვარო ურტყამდა, ბურთი სტუმართა მცველს ხელზე მოხვდა და დავით ოდიკაძესაც პენალტის ზუსტად შესრულება არ გასჭირვებია — 2:0.

ორბურთიანი უპირატესობა, წესითა და რიგით, სერიოზული ჰანდიკაპი უნდა ყოფილიყო „დინამოსთვის", მაგრამ სტუმრები მარცხს არ ურიგდებოდნენ და მეტად და მეტად აქტიური თამაშით უამრავი პრობლემა შეუქმნეს ფავორიტ მეტოქეს. განსაკუთრებით მარცხენაფლანგელები აქტიურობდნენ: ანზორ სუხიაშვილისა და გიგა ამბროლაძის კომბინაციას ელგუჯა გრიგალაშვილი აგვირგვინებდა, მაგრამ სოსო გრიშიკაშვილმა ამ ბურთის მოგერიება შეძლო.

„მერანის" მორიგი შეტევა კი ავტოგოლით დასრულდა — სუხიაშვილის მორიგ რეიდს საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, სადაც გიორგი რეხვიაშვილის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი... "დინამოს" დაუცველ კარში შეგორდა 2:1.



ამ გოლმა მოედანზე სიტუაცია უფრო დაძაბა და „მერანიც" უფრო დიდი ძალებით უტევდა, მაგრამ დებიუტანტთა ფეხბურთელებს საშემსრულებლო ოსტატობა არ ჰყოფნიდათ. მუნინი ტაპეს (ორჯერ) და დავით იობაშვილს ნამდვილად შეეძლოთ თავიანთი გუნდისათვის ქულის მოპოვება, მაგრამ ამაოდ. განსაკუთრებით ის ეპიზოდი გვინდა გამოვარჩიოთ, როცა მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე სტუმართა კუთხურის შემდეგ იობაშვილის ახლო მანძილიდან თავით დარტყმული ბურთი გამოცდილმა სოსო გრიშიკაშვილმა მოიგერია.

**ზესტაფონი — მეტალურგი 2:0**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი. 1.000 მაყურებელი

1:0 გელაშვილი (43პ), 2:0 დვალი (45)

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, ბენაშვილი, კობახიძე, საჯაია, ელიავა, ძარია (სარდალიშვილი 84), გორგიაშვილი (ფიფია 75), აფციაური, შ.გრიგალაშვილი (ბაბუნაშვილი 63), ნ.გელაშვილი, დვალი

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ჭედია, ქავთარაძე (დობროვოლსკი 46), სეთურიძე, გ.მიქაბერიძე (ი.მაისურაძე 46), რაზმაძე, კვახაძე, გ.კვარაცხელია, გეწაძე (პავლიაშვილი 77), ჯაფარიძე, ტატანაშვილი

საინტერესო სტატისტიკური მუდმივობა დასჩემდათ რუსთაველებს კობა ჟორჟიკაშვილის გუნდში მოსვლით. აგებს თუ იგებს „მეტალურგი", შედეგი 2:0 ფიქსირდება. თუმცა, თუ კვირის ამ მატჩში ტრადიცია არ დაირღვა, ეს ყველაზე მეტად რუსთაველთა დიმიტრი ტატანაშვილის „დამსახურებაა". პირველ ტაიმში მისგან შექმნილ ორ რეალურ საგოლე მომენტზე რომ არაფერი ვთქვათ, 83-ე წუთზე, ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეს თავის გამოჩენა მართლაც მართებდა. „ტატანა" ალექს ბენაშვილისთვის ართმეული ბურთით ზესტაფონელთა საჯარიმოსკენ დაიძრა. გზად მამუკა კობახიძეს მეტად ეფექტურად გასცდა და კიპერთან პირისპირ დარჩენილმა, ბურთი კვასხვაძისაგან დაუცველ მარჯვენა დაბალ კუთხეში გაგზავნა. ფორვარდს მიზანმა ამჯერადაც უღალატა.

მასპინძლებს წინა ტურში განცდილი მარცხის გამო საკუთარი მაყურებლის წინაშე რეაბილიტაცია სჭირდებოდათ და ეს საქმე დიდებულად შეასრულეს. მთელი ტაიმის მანძილზე იმერლები დიდ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, რომელიც გოლებად მხოლოდ ბოლო წუთებზე აქციეს.

43-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან მაღალი ტრაექტორიით ჩაწოდებულ ბურთზე, გელაშვილი თავის დასარტყმელად იყო მომართული, მაგრამ „მეტალურგთა" კაპიტანმა ლექსო კვახაძემ ბურთი ხელით ჩამოხსნა, რის გამოც მსაჯისგან ყვითელი ბარათი და პენალტი სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება იყო. 11 მეტრიდან კი გელაშვილმა ზუსტად დაარტყა — 1:0.

ორ წუთში „ზესტაფონმა" უზადო კომბინაცია გაათამაშა — მასპინძელთა კაპიტანმა თორნიკე აფციაურმა მარჯვენა ფლანგზე ლაშა ჯაფარიძეს აართვა ბურთი და იმ წამსვე „მეტალურგის" საჯარიმოს მისადგომებთან მყოფი გელაშვილი მოძებნა, რომელმაც დიდებული პასით ჯაბა დვალი ბედიაშვილს პირისპირ შეატოვა და — 2:0.

**ტორპედო — ბაია 0:0**

**ქუთაისი.** ცენტრალური. 1.200 მაყურებელი

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, გამეზარდაშვილი, დოლიძე, გურული, მეგრელაძე, ჩიკვილაძე, თარხნიშვილი (დ.კირკიტაძე 83), გ.დათუნაიშვილი, დილმელაშვილი (ჩიკვილაძე 46), ბოლქვაძე (გოცირიძე 77)

**ბაია:** სომხიშვილი, შონია, გუგუჩია (სამუშია 70), სიხარულია, რიგვავა, აფაქიძე, ეხვაია (პაჭკორია 90), წურწუმია (ენდელაძე 90), მგელაძე, ტყემალაძე, აკობია

მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე, ისეთი თავსხმა წვიმა წამოვიდა, რომ თამაშის ჩატარებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. თამაშის დაწყება ნახევარი საათით დაგვიანდა, თუმცა, „ცენტრალურის" ერთი მხარე სათამაშოდ მაინც არ ვარგოდა.

რაც შეეხება თავად მატჩს, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თავიდან სტუმრები აქტიურობდნენ, შემდეგ ქუთაისელთა ჯერი დადგა. ბოლოს ისევ ზუგდიდელებმა მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ გოლის გატანა არცერთ გუნდს არ ეღირსა. არადა, ამის მომენტები მრავლად იყო. განსაკუთრებით ზუგდიდელთა მეკარე გიორგი სომხიშვილია გამოსარჩევი, რომელმაც ორი ურთულესი ბურთი მოიგერია.

**დილა — სიონი 1:0**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი

1:0 პავლე ხორგუაშვილი (90პ)

**დილა:** მერლანი, ო.გველესიანი, ქარქუზაშვილი, მაჭავარიანი, ლ.ჩაგელიშვილი, ჯოჯუა, ვ.ხორგუაშვილი (ნემსაძე 61), პ.ხორგუაშვილი, ახალკაცი (ი.ბერაია 73), დ.ჩაგელიშვილი (სადაღაშვილი 72), რაჟამაშვილი

**სიონი:** ლობჟანიძე, ლ.ჩხეტიანი, კობაური, თარგამაძე, ადამაშვილი (ხურციძე 90), გაბრიჭიძე, მ.ოქროპირიძე (კობერიძე 80), ქუცურუა, რეხვიაშვილი, ვ.ბოლქვაძე, უგულავა (ისიანი 78)

ბოლო წუთამდე უძალიანდებოდა ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი გორელებს, მაგრამ შიდა ქართლიდან ქულის წაღება მაინც ვერ მოახერხა. 90-ე წუთზე კობაურმა საკუთარ საჯარიმოში პავლე ხორგუაშვილი წააქცია და დაზარალებულმაც პენალტი ზუსტად შეასრულა.

არადა, გორელებმა რეალური მომენტები შექმნეს და ცოტა მეტი კლასიც რომ ჰქონოდათ, ალბათ, ბოლო წუთს არ დაელოდებოდნენ. ბოლნისელებს რაც შეეხებათ, მათგან ვილი ისიანს მართებდა თავის გამოჩენა, მაგრამ მერლანთან პირისპირ დარჩენილმა მეკარეს ვერ აჯობა.

**სპარტაკი — კოლხეთი 1:1**

**თბილისი.** მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი

1:0 რუხაძე (34), 1:1 ჯანაშია (80)

**სპარტაკი:** ძაგანია, ციმაკურიძე, ბოიომო, ლომაია, ხუბუა (ტეტუნაშვილი 23), ნ.მაისურაძე, თ.შონია, ვ.კილასონია (ქანთარია 86), თიბილაშვილი, მეტრეველი, რუხაძე (დ.გელაშვილი 58).

**კოლხეთი:** ბობღიაშვილი, გ.კილასონია, ინწკირველი, შავგულიძე, ლემონჯავა, გოგონაია (წიქარიშვილი 77), გვალია, პ.დათუნაიშვილი (გელაჭეიშვილი 85), მდივნიშვილი (ციცხვაია 46), ქებაძე, ჯანაშია

ჩემპიონატის სტარტზე შემადგენლობის მხრივ ცხინვალელებს ერთ-ერთ კარგ გუნდად მიიჩნევდნენ და სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ ლიდერთა შორისაც ბევრს გაამწარებდნენ. გამწარების რა გითხრათ, მაგრამ ქულებს კი უხვად ანიავებენ და ჯერ გამარჯვების გემო არ უგემიათ.

პირველ გამარჯვებამდე კი „სპარტაკს" 10 წუთი დააკლდა. ბუბა რუხაძე, რომელმაც ანგარიში გახსნა, შემთხვევით მოხვდა ძირითად შემადგენლობაში. მატჩისწინა მოთელვაზე ირაკლი სამხარაძემ ტრავმა მიიღო და გამოცდილმა სპეციალისტმა თავის გამოჩენის შანსი გამოუცდელ, მაგრამ პერსპექტიულ ახალგაზრდას მისცა. 34-ე წუთზე, ნიკა მაისურაძის მიერ მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთზე, რუხაძემ ყველას დაასწრო და ცხინვალელები წინ გაიყვანა — 1:0.

ცხინვალელებს ბედიც არ სწყალობდათ, ჯერ მაისურაძის დარტყმის შემდეგ ბურთი ხარიხამ აისხლიტა, შემდეგ კი შონიას გასროლილი ძელმა მოიგერია.

ბედმა „სპარტაკს" მე-80 წუთზეც უმუხთლა — ქებაძის შორეული და ძლიერი დარტყმის შემდეგ, ძაგანიამ ბურთი კარგად ვერ შეიმაგრა და უკან გამოვარდნილზე ყველას ზამირ ჯანაშიამ დაასწრო — 1:1

**ვიტ ჯორჯია — გაგრა 1:0**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

1:0 ტყეშელაშვილი (90სკ)

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ადამაძე, კასრაძე, ჩიმაკაძე (სიხარულიძე 76), ვასაძე, ჯანელიძე, ლანიაშვილი, გურამ გურეშიძე, ზაქრაძე (ჯულელი 58), კორიფაძე (ვაშაკიძე 78), ხურცილავა

**გაგრა:** სეფიაშვილი, გაბუნია, ტყეშელაშვილი, კვანტალიანი, ნაკონეჩნი, ჯიშკარიანი, შარიქაძე (ყურულაშვილი 74), მაგაჯი (ჭოხონელიძე 60; გაბედავა 70), კალანდაძე, ორდინსკი, ზვიადაძე

დრამატული მატჩი გამოდგა, თუმცა ვიტ ჯორჯია მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და გამარჯვებას უდავოდ იმსახურებდა.

ვეტერინარებმა შეხვედრის პირველი ოცი წუთი საუცხოოდ ითამაშეს, სწრაფი და მოხდენილი კომბინაციებით არაერთი ხიფათი შექმნა გაგრას საჯარიმოში. გამოსარჩევია ბექა ზაქრაძის ჩაწოდება და ბესიკ ჩიმაკაძის თავური დარტყმა, როცა 5-6 მეტრიდან ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

ერთი სახიფათო მომენტი გაგრელებსაც ჰქონდათ — უმარ მაგაჯი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ გურამ ადამაძემ მომენტი გააუვნებლა.

შესვენების შემდეგ თამაში კვლავ ვიტ ჯორჯიას კარნახით მიმდინარეობდა, მხოლოდ საგოლე დარტყმა არ ჩანდა. შეხვედრის ბოლო წუთზე კი გიორგი ჯანელიძემ მარჯვნიდან ჯარიმა ჩააწოდა, ბურთი გაგრელთა კაპიტანს თავზე აეჭრა და საქართველოს თასის მფლობელმა მორიგი მარცხი განიცადა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 7 | 5 | 1 | 1 | 14:7 | 16 |
| 2.ზესტაფონი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:10 | 14 |
| 3.ბაია | 7 | 4 | 1 | 2 | 10:4 | 13 |
| 4.მეტალურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:4 | 11 |
| 5.ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 2 | 2 | 7:8 | 11 |
| 6.დილა | 7 | 3 | 1 | 3 | 12:9 | 10 |
| 7.გაგრა | 7 | 3 | 1 | 3 | 9:7 | 10 |
| 8.ტორპედო | 7 | 3 | 1 | 3 | 6:6 | 10 |
| 9.მერანი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| 10.კოლხეთი | 7 | 1 | 3 | 3 | 4:9 | 6 |
| 11.სპარტაკი | 7 | 0 | 4 | 3 | 3:7 | 4 |
| 12.სიონი | 7 | 0 | 2 | 5 | 3:12 | 2 |

**ბომბარდირები:**

დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) — 4 ბურთი; ლუკა გუგუჩია (ბაია), შალვა კვანტალიანი (გაგრა), გიორგი მანწკავა (მერანი), დავით რაჟამაშვილი (დილა), ჩისკო (დინამო), რატი წინამძღვრიშვილი, ჯაბა დვალი (ორივე ზესტაფონი) 3□3.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ქპრ-ასტონ ვილა ... 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-ლესტერი ... 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-სოსიედადი ... 2:1
ლევანტე-ესპანიოლი ... 3:1
ხიხონი-რასინგი ... 0:0
სარაგოსა-მალაგა ... 0:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კორდობა-ხერესი ... 2:1
მურსია-ნუმანსია ... 2:1
სელტა-ვალიადოლიდი ... 1:1

**იტალია. სერია ა**

კიევო-ჯენოა ... 2:1
ატალანტა-ნოვარა ... 2:1
კალიარი-უდინეზე ... 0:0
კატანია-იუვენტუსი ... 1:1
ლაციო -პალერმო ... 0:0
სიენა-ლეჩე ... 3:0
პარმა-რომა ... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-ჰოფენჰაიმი ... 2:0
ვერდერი-ჰერტა ... 2:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-დუისბურგი ... 2:1
ჰანზა-კარლსრუე ... 1:1
ფიურტი-მიუნხენ 1860 ... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბრესტი-აიაჩო ... 1:1
ოსერი-სოშო ... 4:1
რენი-სენტ ეტიენი ... 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანტი-კლერმონი ... 1:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ალკმაარი-ფეინოორდი ... 2:1
ვალვაიკი-ნაიმეგენი ... 2:0
გრააფსხაპი-გრონინგენი ... 2:3
ექსელსიორი-ვიტესი ... 0:2

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

ტელსტარი-ვეენდამი ... 1:1
ეიჰდჰოვენი-ცვოლე ... 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბეირა მარი-რიუ ავე ... 0:0
ოლჰანენსე-ლეირია ... 2:1
ფერეირა-ჟილ ვისენტე ... 1:2
მარიტიმუ-გიმარაეში ... 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრასნოდარი-სპარტაკი ... 2:4
ნალჩიკი-ყუბანი ... 0:1
ამკარი-როსტოვი ... 0:1
კრ.სოვეტოვი-დინამო ... 1:0
ლოკომოტივი-რუბინი ... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგ ა**

სტ.ჯონსონი-ჰართსი ... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ზალცბურგი ... 2:1

**ბელგია. პრო ლიგა**

ანდერლეხტი-ბეერსხოტი ... 3:2
სტანდარდი-სერკლი ... 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ქსამაქსი ... 0:1
ლოზანა-სერვეტი ... 0:0
ლუცერნი-სიონი ... 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ატრომიტოსი ... 0:0
ქსანთი-ოფი ... 3:1
პანეტოლიკოსი-იანინა ... 2:2
პაოკი-აეკი ... 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ორდუ-სამსუნი ... 0:0
სივასი-ბურსა ... 3:0
ბეშიქთაში-ანთალია ... 1:0
გენჩლერი-ანკარაგიუჯიუ ... 1:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

იაბლონეცი-ჟიჟკოვი ... 3:1
ბოლესლავი-ჰრადეც კრალოვე ... 1:1
ბოჰემიანსი 1905-ლიბერეცი ... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვიძევი-იაგელონია ... 4:2
ვისლა-რუხი ... 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზარია-ჩერნომორეცი ... 0:2
ოლექსანდრია-კრივბასი ... 1:1
ობოლონი-არსენალი ... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ჰორსენსი ... 1:1
ოდენსე-მიდტიულანდი ... 1:4
სონდერიისკე-კიოგე ... 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გაისი-ჰელსინბორგი ... 1:3
ნორჩიოპინგი-ჰაკენი ... 0:1
მალმიო-აიკი ... 1:1
ტრელებორგი-იორებრო ... 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ოდ გრელანდი-ტრომსო ... 3:1
სონგდალი-ბრანი ... 1:0
სტარტი-ლილესტრიომი ... 3:0
ჰაუგესუნდი-ალესუნდი ... 1:0
ვალერენგა-რუსენბორგი ... 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჯჯკ-ჰაკა ... 2:1

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

შემროკი-ბრეი ... 5:2

**აშშ. მლს**

ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი ... 3:2

**ბრაზილია. სერია ა**

ავაი-გრემიო ... 1:2
ბოტაფოგო-სან პაულუ ... 2:2
ინტერნასიონალი-ატლეტიკო(მ) ... 2:1
კორინთიანსი-ბაია ... 1:0
კრუზეირო-ვასკო ... 0:3
ატლეტიკო(გ)-პალმეირასი ... 1:1
სეარა-კურიტიბა ... 3:2

**არგენტინა. აპერტურა**

ინდეპენდიენტე-ველეზი ... 0:1
ტიგრე-ოლ ბოიზი ... 1:1
სან ლორენცო-რასინგი ... 0:0
არხენტინოსი-ბოკა ... 0:0
ესტუდიანტესი-ბელგრანო ... 2:3

**ფრენბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

პოლონეთი-ჩეხეთი ... 3:0
გერმანია-საფრანგეთი ... 3:0
რუსეთი-ჰოლანდია ... 3:1
ხორვატია-აზერბაიჯანი ... 1:3
რუმინეთი-ისრაელი ... 3:0
სერბეთი-უკრაინა ... 3:0
ბულგარეთი-ესპანეთი ... 0:3
იტალია-თურქეთი ... 2:3

**ხელბურთი**

**მსოფლიო თასი**

**ქალები**

საფრანგეთი-ესპანეთი ... 16:15
ნორვეგია-რუსეთი ... 23:25

**რაგბი**

**მსოფლიო თასი**

უელსი-ნამიბია ... 81:7

**ჩოგბურთი**

**ატპ. მეცი. პასრი**

**ფინალი**

ცონგა-ლუბიჩიჩი ... 6:3;6:7;6:3

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ოპერისა და ბალეტის თეატრი საიუბილეო სეზონს ხსნის

ეკა ირემაშვილი

**27 სექტემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 160-ე საიუბილეო თეატრალურ სეზონს ხსნის. მრავალწლიანი ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და ოპერის კოლექტივი პირველად ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერით" მიიწვევს აუდიტორიას. მსმენელები ქართულ კლასიკურ ოპერას საკონცერტო შესრულებით მოისმენენ.**

„აბესალომ და ეთერს“ შეასრულებენ ოპერის სოლისტები — თეიმურაზ გუგუშვილი (აბესალომი), მარიამ ქობალიანი (ეთერი), ელენე ჯანჯალია (ნათელა), მარიკა მაჩიტიძე (მარიხი), ელდარ გეწაძე (მურმანი), გოჩა დათუსანი-ჯილაური (აბიო მეფე), მანანა იორდანიშვილი (ნაანა), თამაზ საგინაძე (სტუმარი), გიორგი მახარაძე (თანდარუხი), ბონდო გოგია (სახლთუხუცესი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი — შალვა შაორშაძე) და სიმფონიური ორკესტრი. „აბესალომ და ეთერს“ წარუძღვება დირიჟორი დავით მუქერია. ოპერა შესრულდება ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. საღამოზე დასწრება კლასიკური მუსიკის მოყვარულებს 5-დან 15 ლარამდე დაუჯდებათ.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ოთხმოქმედებიანია. ლიბრეტოს ავტორია პეტრე მირიანაშვილი. მისი პრემიერა შედგა თბილისში 1919 წელს. ამჯერად ოპერის თეატრი საზოგადოებას 1986 წლის დადგმას სთავაზობს, რომლის დამდგმელი დირიჟორიც ჯანსუღ კახიძეა, დირიჟორი — რევაზ ტაკიძე, რეჟისორი — მიხეილ თუმანიშვილი, მხატვარი — გიორგი ალექსი-მესხიშვილი, ქორეოგრაფი კი — თენგიზ სუხიშვილი.

კომპოზიტორმა თავისი შემოქმედების ცენტრალურ ოპერაზე „აბესალომ და ეთერზე“ მუშაობა ხალხური თქმულების „ეთერიანის“ მიხედვით დაიწყო. ამ ნაწარმოების სიუჟეტზე ოპერის შექმნის იდეა კომპოზიტორს ცნობილმა პედაგოგმა და ლიტერატორმა პეტრე მირიანაშვილმა მიაწოდა. მან არა მარტო შეადგინა ლიბრეტოს ტექსტი, არამედ მხარში ედგა კომპოზიტორს ოპერაზე მუშაობის განმავლობაში. ოპერის ლიბრეტო ხალხური თქმულების მთლიანი სახით წარმოდგენის საინტერესო ცდაა. პეტრე მირიანაშვილმა ხალხური თქმულების ტექსტის გარდა ლიბრეტოში გამოიყენა ვაჟა-ფშაველას პოემის ცალკეული სტროფები, ხალხური „ვეფხისტყაოსნისა“ და ილია ჭავჭავაძის ლექსის ფრაგმენტები. ოპერის მეორე მოქმედების ტექსტის ნაწილი ალექსანდრე წუწუნავას ეკუთვნის, ხოლო ოპერის ერთ-ერთი გმირის, მარიხის კანცონეტის ტექსტი თავად პეტრე მირიანაშვილის დაწერილია.

ოპერას „აბესალომ და ეთერი“ პირველი შესრულებისას თავად კომპოზიტორი დირიჟორობდა. „აბესალომ და ეთერის“ პირველი ვარიანტი 5 მოქმედებისა და 6 სურათისგან შედგებოდა, რის გამოც კომპოზიტორმა გარკვეული კრიტიკული შენიშვნაც დაიმსახურა. მან გაითვალისწინა შენიშვნები და ოპერა ერთი მოქმედებით შემოკლდა. საბოლოოდ ოპერამ ქართველი საზოგადოების უზარმაზარი მხარდაჭერა მოიპოვა. თავად კომპოზიტორს ოპერაზე მუშაობისას არაერთხელ უთქვამს — „მე პრეტენზიები არა მაქვს, რათა ჩემზე სთქვან, ოპერა დასწერაო. ჩემი მუშაობის აზრია — მე ვიძლევი მასალას, ვკრებ და ვაყალიბებ მას, გამოვიტან საზოგადოებაში, შემდეგ, ალბათ გამოჩნდება ვინმე უფრო ნიჭიერი და ოპერას დასწერს“. ზაქარია ფალიაშვილი საკუთარ დამსახურებად ოპერაში უფრო ეროვნული და ევროპული მუსიკის თავისებურებების სინთეზს მიიჩნევდა. ოპერის საერთო კონცეფციაში ძირითადი თემა — სიყვარული წარმოსახულია როგორც დიადი, უძლეველი ძალა, რომელიც გადალახავს არა მარტო სოციალურ უთანასწორობას, არამედ თვით სიკვდილსაც. სიყვარულისა და სიკვდილის ამაღლებული პოემა ზაქარია ფალიაშვილმა მუსიკალური ტრაგედიის მონუმენტურ ფორმებში გადაწყვიტა.

ოპერისა და ბალეტის საიუბილეო 160-ე სეზონის გახსნის შემდეგ, 30 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მომღერლების — სულხან გველესიანის, გიორგი მახარაძის, ლეგი იმედაშვილის, ირინე რატიანის, ელენა პუტილოვას, ლევან მაკარიძის, თამაზ საგინაძის, მანანა იორდანიშვილის, თეატრის გუნდისა და სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით, ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობით საკონცერტო შესრულებით აჟღერდება ჯუზეპე ვერდის ოპერა „ნაბუქო“.



# რობერტ სტურუა: მე შევიცვალე აზრი!

ეკა ირემაშვილი

**მიუხედავად იმისა, რომ რობერტ სტურუამ ორი თვე ითხოვა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, დარჩენილიყო თუ არა რუსთაველის თეატრში რიგით რეჟისორად, მან ეს გადაწყვეტილება თეატრის 133-ე სეზონის გახსნის პირველივე დღეს მიიღო.**

რუსთაველის თეატრმა ახალი თეატრალური სეზონი რობერტ სტურუას სპექტაკლის პრემიერით „ნადირობის სეზონი“ გახსნა, რომელიც რეჟისორმა მწერალ თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა. ერთმოქმედებიან ტრაგიკომიკურ ფანტასმაგორიაში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები — ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, სანდრო მიკუჩაძე-ღლონტი, ბექა სონღულაშვილი, გაგი სვანიძე, ზაზა ბარათაშვილი, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე. მუსიკა სპექტაკლისთვის გია ყანჩელმა დაწერა, მხატვრობა თემურ ნინუას ეკუთვნის, ხოლო ქორეოგრაფია — კოტე ფურცელაძეს.



სპექტაკლის პრემიერამ რუსთაველის თეატრში სრული ანშლაგით ჩაიარა. პრემიერაზე მრავლად იყვნენ ქართული კულტურის წარმომადგენლები, რობერტ სტურუას კოლეგები, მსახიობები, რეჟისორები. პრემიერას ესწრებოდა ნაწარმოების ავტორი თამაზ ჭილაძე, რომელმაც სპექტაკლს შედევრი უწოდა ქართულ თეატრალურ ისტორიაში. რობერტ სტურუამ თამაზ ჭილაძის მეხუთე ნაწარმოები გააცოცხლა თეატრალურ სცენაზე.

— არაფრის თქმა არ შემიძლია, ემოციების ქვეშ ვარ. ერთადერთი, რასაც ვიტყვი, ის არის, რომ რაც შემრჩა ამ თეატრიდან, ეს არის ჩემი მეგობრების და დასის სიყვარული. მე დავუჯერებ მათ. შემეძლო, წავსულიყავი მოსკოვში, ლონდონში, მაგრამ ვერ დავტოვებ ჩემს მეგობრებს, რომლებთანაც 50 წელი გავატარე. ბევრს ჰგონია, რომ საერთოდ წავალ საქართველოდან, მაგრამ არ ვიცი, რატომ ავიწყდებათ, რომ ეს ჩემი სამშობლოა. მე შევიცვალე აზრი, — ამბობს რეჟისორი.

რუსთაველის თეატრში ამბობენ, რომ რობერტ სტურუამ გადაწყვიტა რუსთაველის თეატრში დარჩეს როგორც რეჟისორი და სპექტაკლები დადგას. ამის შესახებ მაესტროს „ნადირობის სეზონის“ დასრულების შემდეგ განაცხადა. ამის დამადასტურებელი ვიდეომასალა კი რუსთაველის თეატრის საიტზე უახლოეს მომავალში განთავსდება. რუსულ სააგენტო „რია ნოვოსტისთან“ საუბარში კი ქართველმა რეჟისორმა განაცხადა, რომ 2012 წელს ლონდონის თეატრში სპექტაკლის დადგმას გეგმავს. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის თეატრთან „ეტ სეტერა“ მუშაობას დათანხმდა, ინგლისიდან მიღებულ წინადადებასაც საკმაოდ სერიოზულად უყურებს.

— „ეტ სეტერას“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შედეგად გადავწყვიტეთ, რომ აქ მე სეზონზე ერთ-ორ სპექტაკლს დავდგამ. დანარჩენი დროის გამოყენება ჩემი შემოქმედებითი გეგმებისთვის შემიძლია, ასევე შემიძლია დავდგა სპექტაკლები სხვა თეატრებში. ახლახან მივიღე წინადადება ინგლისიდან, სადაც სამი თვით, ლონდონის თეატრთან გასაცნობად მივემგზავრები. ლონდონის თეატრში 2012 წელს სპექტაკლის დადგმას ვგეგმავ, — განუცხადა ქართველმა მაესტრომ სააგენტო „რია ნოვოსტის“.

რობერტ სტურუას ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი რუსთაველის თეატრში „ნადირობის სეზონი“ 29 სექტემბერს უკვე თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ინგლისურ ენაზე სინქრონული თარგმანის თანხლებით გათამაშდება.

# კარლა ბრუნის ნიკოლა სარკოზი ბოტანიკის ცოდნის გამო შეუყვარდა

საფრანგეთის პირველ ლედის, კარლა ბრუნის ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ უყვარს, პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან ქორწინების შემდეგ კი პრესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში კიდევ უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენს.

მიუხედავად ამისა, ამას წინათ მან ინტერვიუ მისცა ქრისტინა ოკრენტს, თავის ძველ მეგობარსა და საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჟურნალისტს.

ბრუნის თქმით, მის მეუღლეს ბევრი რამ აინტერესებს, ისტორიით და გეოგრაფიით დაწყებული და პოლიტიკით დამთავრებული, მისი გული კი მებაღეობის კარგი ცოდნით მოინადირა.

„ერთმანეთი რომ გავიცანით, ელისეს სასახლეში, ბაღში ვსეირნობდი და ყველა ყვავილის ლათინური სახელწოდება იცოდა, დეტალურად იცის ვარდებისა და ტიტების თავისებურებები. სწორედ მაშინ გავიფიქრე, პრეზიდენტია და ყვავილებში კარგად ერკვევა, ცოლად უნდა გავყვე-მეთქი, — განაცხადა ბრუნიმ.

კარლა ბრუნი ამჟამად ორსულადაა და მეორე შვილს ელოდება. მიუხედავად ამისა, ამის შესახებ ლაპარაკი არ უყვარს.

„ცრუმორწმუნე ვარ, გარდა ამისა, რა არის აქ სალაპარაკო. საფრანგეთში მრავალი ორსული ქალია და ფრანგებს ეს არ აინტერესებთ. ეს მხოლოდ მე მაინტერესებს, ისე კი, ყველაფერი ეს საკმაოდ ბანალურია, — ამბობს იგი.

ამასთან, ელისეს სასახლეში ისტორიაში პირველად ახალშობილი შეიძლება გამოჩნდეს და კარლა ბრუნი აღიარებს, რომ ეს მართლაც უჩვეულო მოვლენაა.

ალბათ, ეს საფრანგეთის რესპუბლიკაში თანამედროვეობის შეჭრის ტოლფასია და თავისთავად, ურიგო არ არის, — მიაჩნია საფრანგეთის პირველ ლედის.

კარლა ბრუნის თქმით, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ მისი ქმარი უჩვეულო პრეზიდენტია — საფრანგეთის პრეზიდენტები ჩვეულებრივ ცოლებს არ ეყრებიან და მეორედ არ ქორწინდებიან.

კარლა ბრუნის თქმით, ეს ქორწინება ორივესთვის გაბედული ნაბიჯი იყო, ადამიანების უმეტესობა ასეთ მკვეთრ ცვლილებებს ვერ ეგუება.

„პირადად მე არ მიყვარს ხმაური და აურზაური, ჩუმი ცხოვრება მირჩევნია, — ამბობს იგი, — მიყვარს მარტოობა, სიმშვიდე, სიჩუმე. ის კი ისეთი დაკავებულია, რომ მხოლოდ საღამო და ღამე გვრჩება.

საფრანგეთში დიდი აურზაური გამოიწვია მსოფლიო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის, დომინიკ სტროს-კანის ისტორიამ, რომელიც ჯერ ნიუ იორკის ერთ-ერთი სასტუმროს მოახლის გაუპატიურებაში დაადანაშაულეს, შემდეგ კი გაამართლეს.

ეს რომ არ მომხდარიყო, მომავალ წელს მას პრეზიდენტის არჩევნებში ნიკოლა სარკოზის დამარცხების რეალური შანსები ექნებოდა. მაინც რას ფიქრობს კარლა ბრუნი იმ მხარდაჭერის შესახებ, რომელიც სტროს-კანს მისმა მეუღლემ, ყოფილმა ჟურნალისტმა ან სინკლერმა გაუწია?

„არ ვიცი, რა გითხრათ, მაგრამ ყოველთვის სიფრთხილეს ვამჯობინებ, იმიტომ, რომ არ ვიცი, ვის მხარეზეა სიმართლე. გაზეთები ჩემ შესახებ რასაც წერენ, იმას რომ ვკითხულობ, სხვების შესახებ დაწერილისა აღარ მჯერა“, — ამბობს კარლა ბრუნი.

პრეზიდენტის პოსტიდან ნიკოლა სარკოზის გადადგომის შემდეგ კარლა ბრუნი ესტრადაზე დაბრუნებას აპირებს.

„საკონცერტო საქმიანობას დავუბრუნდები, გიტარა და გამოსვლები მომენატრა, მუდმივად ამ საქმის კეთებას ვისურვებდი, თანაც ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად“, — ამბობს ბრუნი, რომელიც გათხოვებამდე საკმაოდ პოპულარული მომღერალი იყო. რაც შეეხება მის ქმარს, იგი სიცოცხლის ბოლომდე იმუშავებს.

„ასეთი ადამიანია, ზარმაცი არ არის, ძალიან ბევრს მუშაობს, ხოლო თუკი ისეთი გამოცდილება გაქვთ, როგორიც ქვეყნის ხელმძღვანელობაა, ყველაფერი შეიძლება გააკეთოთ“ — მიაჩნია კარლა ბრუნის.

**გ.თ.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სინათლის ნაწილაკი, კვანტი; 2. ესპანური წესით დამზადებული ღორის ლორი; 3. კინოცენტრი ინდოეთში; 4. დაბალი დგომი თხილამურებით სრიალში; 6. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 8. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული მცენარე; 11. ქალაქი ლოს-ანჯელესის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად ტარდება ვარდების დღესასწაული; 12. თოკზე მოსიარულე ჯამბაზი; 16. აღმოსავლური ტკბილეული; 17. შიკრიკი, ამბის მომტანი; 18. ტყის დიდი გარეული ხარი.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს სრულდებოდა; 5. შოკოლადის ხე; 7. ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა; 9. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი დისციპლინა; 10. პატარა აივნიანი სახლი ინდოეთში; 13. საზაფხულო ფეხსაცმელი; 14. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 15. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. საღამოს სადილი; 20. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ავტომრბოლელთა გუნდი; 22. მთიანეთი შუა აზიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

**წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და კროსვორდების პასუხები:**

**სკანვორდის პასუხები:**

1. რვალი; 2. ვიგანო; 3. დო; 4. ნოე; 5. სტენდი; 6. ეფემერა; 7. პენი; 8. მუსიკა; 9. მაგნიტი; 10. მერი; 11. ფრაუ; 12. ოდრი; 13. კიკლოპი; 14. ინა; 15. ელვა; 16. ალ; 17. ემინემი; 18. ისარა; 19. პო; 20. თეატრი; 21. რეი; 22. ევბეა; 23. სოია; 24. ამება; 25. მაისი; 26. აბა; 27. ილტო; 28. სიო; 29. ეტნა; 30. მა; 31. კალა; 32. ბატი; 33. გილბერტი; 34. ოდა.

**სურათებზე:** ფეი დანაუეი; ჯერმეინ დეფო.

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. პარაშუტი; 6. სირაქლემა; 9. ქართლი; 10. ნუკერი; 11. ნიორი; 13. კენტი; 15. სეზონი; 18. კარტი; 21. ნარკოტიკი; 22. ბლოკადა; 23. მარადია.

**შვეულად:** 1. მაკიაჟი; 2. კიმონო; 3. პროგრესი; 4. მანდრილი; 7. დიდაქტიკა; 8. ირიდიუმი; 12. მენეჯერი; 14. პემიკანი; 16. ნამიბია; 17. ბოცმანი; 19. პინა; 20. აკრი.

# ზვიად სიჭინავა: ხელოვნურად სიტუაციას ნუ დავძაბავთ

19-22 სექტემბერს, კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში უეფას წევრი ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციების პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნების შეხვედრა შედგა, რომელსაც ცხადია საქართველოს დელეგაციაც ესწრებოდა.

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე ჟურნალისტებს შეხვდნენ.

**ზვიად სიჭინავა:**

— კვიპროსზე გაიმართა შეხვედრა ევროპულ საფეხბურთო სამყაროში რამდენიმე ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს ეხება მომავალ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს, ახალგაზრდულ ნაკრებს, სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს, ქალთა ფეხბურთსა და ფუტსალს. 53 ქვეყნის წარმომადგენლები დაყოფილი იყვნენ 3 ჯგუფად და ყველას თავისი სამუშაო ვერსია ჰქონდა. შემდეგ ხდებოდა მათი შეჯერება. იყო რამდენიმე ვერსია, თუმცა ბოლოს ერთზე იქნა შეჩერებული არჩევანი, რომელსაც უეფას ალმსაკომი სავარაუდოდ ნოემბრის თვეში დაამტკიცებს.

ყველაზე მთავარი საკითხი სანაკრებო მატჩები იყო. საქმე ის არის, რომ 2014 წლიდან ყველა ნაკრების მატჩების ტრანსლაციის გაყიდვის უფლება მხოლოდ უეფას ექნება და შემდეგ ეროვნულ ფედერაციებს თავის წილს გადასცემს. ეს წილი სავარაუდოდ 4-დან 10 მილიონ ევრომდე შეფასდა. ამ ყველაფერს უეფას მარკეტინგის სამსახური დაითვლის და ზუსტ თანხას შემდეგ გვეტყვის. ეს ჩვენთვის კარგია, რადგან გასულ შესარჩევ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ 1,7 მილიონი ევრო მივიღეთ, რომელიც ყველასთვის კარგად ნაცნობ ვალებში წავიდა. ცხადია, პატარა ქვეყნების ფედერაციებისთვის ეს გაცილებით მომგებიანია, მაგრამ არც დიდი ქვეყნებისთვის არის წამგებიანი, რადგან ნებისმიერ პატარა ქვეყანას შეუძლია სიგნალი დაუბლოკოს და მატჩის ტრანსლირების საშუალება მხოლოდ დიდი ფინანსური სარგებლის ნახვის შემდეგ მისცეს. ამიტომ ეს იდეა ყველას მოეწონა. გარდა ამისა, სანაკრებო მატჩებისთვის დაიგეგმა ერთკვირიანი ვადა — ორშაბათიდან კვირამდე. როგორც იცით, აქამდე უეფას ფანჯარაში კვირაში მხოლოდ ორი დღე იყო გამოყოფილი და ყველა მატჩი თითქმის ერთ დღეს ტარდებოდა, რაც გულშემატკივრავს ყველა გუნდის მატჩის ნახვის საშუალებას არ აძლევდა. ამიტომ, 2014 წლიდან, მატჩები ჩატარდება ორშაბათიდან კვირამდე და დღეში საშუალოდ 6-8 მატჩი იქნება. ეს თავად უეფას აძლევს საშუალებას, უფრო მეტი მატჩის ტელერეპორტაჟი გაყიდოს და მეტი პოპულარიზაცია გაუწიოს ფეხბურთს.

გადაწყდა აგრეთვე, რომ სექტემბერ-ოქტომბერ□ნოემბერში ნაკრებები 2-2 ოფიციალურ მატჩს გამართავენ, მარტში 1 ოფიციალურ და ერთ ამხანაგურს, ერთ ოფიციალურს ივნისში და სეზონს ისევ შემოდგომაზე თვეში 2-2 მატჩით დაასრულებენ. როგორც ხედავთ, გრაფიკიდან ამოვარდნილია აგვისტო, რაც უმრავლესობას არ მოეწონა, მათი აზრით, ჯობდა ამოვარდნილიყო ივნისი, რადგან ამ დროს ჩემპიონატები ახალი დამთავრებულია და ფეხბურთელთა დიდი ნაწილი შვებულებაში იმყოფება ან ჯერ სათამაშო ფორმაში არ არის. კალენდრიდან ასევე ამოვარდა თებერვალიც.

შეიცვალა ახალგაზრდული ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სისტემაც. ადრე, როდესაც ახალგაზრდულ ნაკრებებში გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელები ჩანდნენ, მისდამი ინტერესი დიდი იყო. ბოლო დროს კი ამ ინტერესმა მოიკლო. ამიტომ, ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები ზუსტად ის გუნდები იქნებიან, რომლებიც ეროვნულ ნაკრებს ჯგუფში ეყოლება (ეს სისტემა ადრე მუშაობდა) და ან წინა დღით ითამაშებს, ანაც იმავე დღეს, მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე. ფინალური ეტაპი ისევ 8-გუნდიანი იქნება და ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ჩატარდება.

19□წლამდე ასაკის ნაკრებს ცვლილება მცირედით შეეხო — ერთადერთი ის არის, რომ ფინალურ ეტაპზე გუნდებს 18 ფეხბურთელის ნაცვლად განაცხადში 20 ფეხბურთელის შეყვანა შეეძლებათ. 17 წლამდე ასაკში კი გაიზრდება ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდების რაოდენობა და გახდება 16. ქალთა ფეხბურთის განვითარება უეფას ძალიან სურს, რადგან მის მიმართ ინტერესმა ძალიან იმატა. ამიტომ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გუნდების რაოდენობა 12-მდე გაიზრდება, ხოლო 17-წლამდელების რიცხვი ისევ 8 დარჩება. დიდი კამათი იყო ფუსალთან დაკავშირებით, აქ ხმების რაოდენობა ისე თანაბრად გაიყო, რომ მისი საკითხი შეჩერებული დარჩა და არანაირი ცვლილებები არ მოხდება.

განსაკუთრებით დიდი კამათი გამოიწვია პატარა ქვეყნებში ერთობლივი ჩემპიონატების ჩატარებამ. მაგალითად, კავკასიის, ბალტიისპირეთის, ბალკანეთისა თუ გაერთიანებული ჩეხეთ-სლოვაკეთის ჩემპიონატების იდეამ. თითქოს ყველა თანახმაა, მაგრამ ვერ ჯერდება კვოტა, თუ როგორ და რა პრინციპით მოიპოვებენ გუნდები ევროსაგზურებს, ან როგორ იქნება ელიტური ლიგის დატოვების სისტემა. ერთადერთი, ჩეხეთ-სლოვაკეთი გაიძახის, რომ ამის გამოცდილება აქვთ და პრობლემა არ შეექმნებათ. საერთო გადასახედიდან, ძალიან რთული თემაა და მის დამუშავებას ალბათ კიდევ დიდი დრო დასჭირდება.

კამათი გამოიწვია ლეგიონერების დაზღვევის სისტემამაც. დიდ ქვეყნებში ასეთი რამ არსებობს და 19 ქვეყანა თავიანთ ფეხბურთელებს აზღვევს. პატარა ქვეყნები ამის წინააღმდეგი წავედით, რადგან უეფას სურს, ეს პროცესიც თავის თავზე აილოს და ერთიან სისტემაში მოაქციოს. როგორც ჩანს, ზემოთ ნახსენები სატელევიზიო უფლებებით მოგებული თანხის უკან ამოღებას სწორედ ერთიანი სადაზღვევო სისტემით აპირებს. ამიტომ, ეს პროცესიც ჯერ შეჩერებულია. ერთია, ჯერ ეს ყველაფერი უეფამ უნდა დაამტკიცოს, შემდეგ კი ბეჭედი ფიფამ დაარტყას. ისე, შეკრებაზე ისიც ითქვა, ფიფას ინოვაციები მაინცდამაინც არ მოსწონს.

რაც შეეხება ჩვენს მოთხოვნებსა თუ თხოვნებს. 2012 წელს მონაკოში ბოლოჯერ ჩატარდება ევროპის სუპერთასი და შემდეგ მისი მასპინძლობის უფლება ყველა მათგანს ექნება. 2013 წელს უკვე გადაწყვეტილია, რომ პრაღა უმასპინძლებს, შემდეგ კი გვინდა უეფას სუპერთასი თბილისში ჩავატაროთ. საამისო ინფრასტრუქტურა ნამდვილად გვექნება. ცხადია, ეს ყველაფერი კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ და შანსები გვაქვს (მოთხოვნას დღეს გადააგზავნიან უეფაში). ამის გარდ,ა გვინდა 17 და 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებსაც ვუმასპინძლოთ, ან ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატს. ეს ყველაფერი არ გამოვა, მაგრამ რომელიმეც რომ გამოვიდეს, კმაყოფილი ვიქნებით. ჩვენი თხოვნაა უეფასთან, რაც შეიძლება მეტად დავიტვირთოთ. ასევე სურვილი გვაქვს, 17 □წლამდელთა ელიტრაუნდის მასპინძლობა მოვითხოვოთ, რადგან ჩვენი ნაკრები უკვე გავიდა ამ ეტაპზე.



*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# ინდოეთში წყალდიდობამ 2 მილიონამდე ადამიანი აჰყარა

ინდოეთის სამ, ორისას, უტარ პრადეშისა და ბიჰარის შტატებში კოკისპირული წვიმებით გამოწვეული წყალდიდობების შიშით საცხოვრებელი სახლები ორ მილიონამდე ადამიანმა დატოვა.

წვიმების სეზონი ინდოეთში ორი კვირის წინ დაიწყო. წყალდიდობებისა და მეწყერების შედეგად უკვე 80-მდე ადამიანი დაიღუპა. ზოგიერთი რაიონი გარე სამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდა.

უტარ პრადეშის შტატში ძლიერმა წვიმამ ძირი გამოუთხარა სახლს, რომელიც ჩამოინგრა და ნანგრევებში 18 ადამიანი ჩამარხა.

ბიჰარის შტატში სურსათის უკმარისობის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს.

ყველაზე მეტად ორისას შტატი დაზიანდა. წყალდიდობების შედეგად შტატის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი წყალმა დაფარა. აქ 55 ადამიანი დაიღუპა, ისინი ჩამონგრეული სახლების ნანგრევებში მოხვდნენ, ან გველების ნაკბენებისაგან დაიღუპნენ, რადგან ექიმთან მისვლა ვერ შეძლეს.

ზოგიერთ რაიონში ნაპირებიდან გადმოსულმა მდინარეებმა ცალკეული კვარტლები ან სულაც მთელი დასახლებული პუნქტები გარე სამყაროს მოწყვიტეს. სურსათისა და სასმელი წყლის მიწოდება მხოლოდ ვერტმფრენების საშუალებით იყო შესაძლებელი.

ხელისუფლების თქმით, უბედურების ზონიდან უკვე ევაკუირებულია 61 ათასი ადამიანი. დაწყებულია სამაშველო საძიებო სამუშაოები. მაშველებმა იპოვეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებული 10 ადამიანი, რომლებსაც მდინარე ბრაჰმანიზე ნავი გადაუბრუნდათ.

უტარ პრადეშის შტატში დაღუპულთა რაოდენობამ



28 ადამიანი შეადგინა. შტატის ორ მთავარ მდინარეში განგსა და გომატში წყლის დონემ 1975 წელს დაფიქსირებულ რეკორდულ მაჩვენებელს გადააჭარბა და კვლავაც მატულობს.

*გ.თ.*

# სამგლოვიარო განცხადებები

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის

**პლატონ ჩონჩორის ძე ემუხვარის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

პლატონ ემუხვარი დაიბადა 1918 წლის 17 დეკემბერს სამურზაყანოს — გალის რაიონის სოფელ ხუმუშქურში. ამ სოფლის სამრევლო და გალის №1 საშუალო სკოლების დამთავრების შემდეგ, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღო უმაღლესი განათლება, 1941 წელს ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებლის სპეციალობით დაუბრუნდა მშობლიურ გალის რაიონს და დიდხანს და ერთგულად ემსახურა მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-განათლების წმიდათაწმიდა საქმეს.

1941 წლიდან ბატონი პლატონი ნაბაკევის, ოქუმის, გალის №1 და №2 საშუალო სკოლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე ინსპექტორად, საზოგადოებრივ საწყისებზე — გალის სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 1946 წლიდან, იძულებით გადაადგილებამდე, გალის №2 სკოლაში იყო დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში, პარალელურად ასწავლიდა ისტორიას.

პლატონ ემუხვარს მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებული იყო მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის 1941-45 წწ. სამამულო ომში“, „სახალხო განათლების წარჩინებული“. საატესტატო საკვალიფიკაციო კომისიის მიერ მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება.

1993 წელს მშობლიური აფხაზეთის იძულებით დატოვებამ და პედაგოგი ძმის — ვახტანგ ემუხვარის ტრაგიკულად დაღუპვამ დიდი დაღი დაასვა ხანდაზმული პედაგოგის ცხოვრებას. ზეციურ საქართველოში თან გაიყოლა შინ დაბრუნებასა და მიტოვებული საფლავების მოვლაზე დარდი და მშობლიური სამურზაყანოს უდიდესი ისტორია. უფალმა ნათელში ამყოფოს პლატონ ემუხვარის სული.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან არსებული ფონდი „ჰარმონია და მშვიდობა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, თაობათა აღმზრდელი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ბატონი

**პლატონ ემუხვარი**

და სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს, ქალბატონ რუსუდან ემუხვარს მამის წუთისოფლიდან გასვლის გამო.

---

ნინო ცირეკიძეს, ლალი, მარინა და კობა ლომთაძეებს ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ თქვენი მეუღლისა და მამის, ჩემი ბიძის, ცისფერთვალება რაჭველის

**ოთარ ლომთაძის**

გარდაცვალების გამო.
მარად ნათელში იყოს მისი კეთილი სული.
მედეა მანჯგალაძე ოჯახით

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 27 სექტემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **10.25 რაგბი.** მსოფლიო თასი. იტალია-აშშ **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.30** აღმოაჩინე საქართველო **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **16.00, 19.00, 20.00** მოამბე **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **17.55 ფუტსალი.** უეფას ფუტსალის თასი. "იბერია სტარი" (საქართველო) – "მაპიდი" (ბელორუსია) **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00, 02.50** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი **00.40** მხ. ფილმი **"ჩურჩული ღამით"** (18) **03.30** აუდიტორია **04.30** მხ. ფ. **"ლარა კროფტი: სამარხების მძარცველი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00, 01.00** სერ. **"ზიანი"** **20.00** მხ. ფილმი **"იმპერია"** **02.00** მხ. ფილმი **"სიკვდილი ხელმეორედ"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ჯეოსტარი **22.40 ჩემპიონთა ლიგა.** **00.40** შუა დღე **01.40** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 1-ლი ს. **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** მე-2ს. **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** მხ. ფილმი **"საბედისწერო მოგზაურობა"** (18) (მ. ჯორჯი) (სუბტ.) **01.50** მხ. ფილმი **"საქორწინო წვეულება"** (მ. დუგლასი) (სუბტ.) **03.25** მხ. ფილმი **"პირდაპირი მოქმედება"** (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"** მე-2ს.

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 2"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** იმედის ფსონი (პირდ.) **16.20** გადაცემა "გუნდი" **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადრონე"** **10.30** დოკ. ფილმი **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"მონტალბანო"** **12.50, 19.35** სერ. **"დაშნების დედოფალი"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სახლი ბათუმში **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "ალავერდი" **10.50** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ერთი ცის ქვეშ"** **13.35** კონცერტი – ანს. "საგალობლების საღამო" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ვედრება"** **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "გარდაცვალება, ახალი სიცოცხლის დასაწყისი" **17.25** დოკ. ფილმი "ძელი ცხოველი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** **100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** დოკ. ფილმი "ზეცის სიმაღლეს ეზიარა" **19.35** მხ. ფილმი **"ამაღლება"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** ირაო **01.30** კონცერტი – ბარდანაშვილი "მწუხრის ლოცვანი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**27 სექტემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,641 | ევრო — 2,3815 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208 | რუსული რუბლი — 0,057 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-29, ღამით — 8-12

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-23, ღამით — 11-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — 1-8




ამინდის პროგნოზი 27 სექტემბრისთვის


# 26 სექტემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ მე-12 ტომი

**უნიკალური პროექტი**

# კოკო შანელი

უკვე გამოცემულია „100 წიგნის“ 11 ტომი. ესენია:
1.განდი, 2.ფრანკო, 3.ჩერჩილი — პირველი ნაწილი, 4.ჩერჩილი — მეორე ნაწილი, 5.სერვანტესი, 6.მარკესი, 7.რიშელიე, 8.ნაპოლეონი, 9.ვაჟა-ფშაველა, 10. კეისრები, 11.ათათურქი.
გამოსაცემად მზადაა:
ჩარლი ჩაპლინი, მარკო პოლო, ბიტლზი, რეიგანი.

„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.




**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


## რიჩი დიქსონმა სარუმინეთო შემადგენლობა დაასახელა

**ხვალ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასზე მორიგ მატჩს გამართავს. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანს — ჩვენების მეტოქე რუმინეთის ნაკრები იქნება. სწორედ ამ გუნდთან არის დაგეგმილი იმ ერთადერთი გამარჯვების მოპოვება, რომელიც რიჩი დიქსონმა თავიდანვე დასახა. ბორჯღალოსანთა მთავარმა მწვრთნელმა ის 22 მორაგბე დაასახელა, რომლებიც პალმერსტონში რუმინელების დამარცხებას შეეცდებიან.**



შემადგენლობა თითქმის ისეთივეა, როგორიც ინგლისთან მატჩისას იყო. მასში მომხდარი რამდენიმე ცვლილება და გადაადგილება ტრავმებმა განაპირობა.

საქართველოს ნაკრები: 15. ლაშა ხმალაძე, 14. რევაზ გიგაური, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ილია ზედგინიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

მარქაფა: 16. გოდერძი შველიძე, 17. ვასილ კაკოვონი, 18. ლევან დათუნაშვილი, 19. გივი ბერიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი ჩხიკვაძე, 22. მალხაზ ურჯუკაშვილი.

შეგახსენებთ, მატჩი ხვალ თბილისის დროით 10:30 წუთზე დაიწყება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ა

**ჰორიზონტალურად:** 1. პოლიფონიური მუსიკალური ნაწარმოები; 2. მდინარე ციმბირში; 3. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 4. ღამის ფრინველი; 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 6. ღვინის შესანახი თიხის ჭურჭელი; 7. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 10. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 13. ჰოლივუდის კომიკოსი მსახიობი მამაკაცი; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 18. სოფლის შარაგზა; 19. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 21. რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 24. უნგრული ღვინო.

**ვერტიკალურად:** 1. ბეთჰოვენის ოპერა; 3. შამფურზე შემწვარი, ხახვითა და სუნელებით შეკმაზული დაკეპილი ხორცის მოგრძო გუნდი; 8. დოლი გრძელ დისტანციაზე; 9. რაიონული ცენტრი აფხაზეთში; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, ქართველოლოგი; 15. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 17. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 20. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 22. გერმანული ავტომობილი; 23. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად მთარგმნელი და გამომცემელი; 25. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყო; 26. დედალი ჯიხვი; 27. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 28. ტუნისის ჩრდილოეთში მდებარე უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## იუმორი



***

— ნამდვილი ჯენტლმენი არის ის, ვინც კატას ყოველთვის კატას უწოდებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი კატას ფეხს წამოჰკრავს და წაიქცევა...

***

— მამაკაცების საყურადღებოდ — ქალისათვის მცდარი ბრალდებების წაყენებით თქვენ მას გრანდიოზულ იდეებს აწვდით...

***

— საზოგადოებრივი აზრი — ეს იმათი აზრია, ვისაც არაფერს ეკითხებიან...

***

— სად დაიკარგე?
— წვეთოვანი მქონდა დადგმული.
— რა, გული გტკივა?
— არა, არაყს ვხდიდი...

***

— წარმოგიდგენია, ერთმა ტიპმა ანდერძში ასი ათასი დოლარი დაუტოვა ქალს, რომელიც ორმოცი წლის წინ ცოლად არ გაჰყვა.
— აი, მესმის მადლიერების გრძნობა...

***

— ქმარი სულ მღალატობს, ისიც კი არ ვიცი, ვისგან მყავს შვილები...

***

— რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში სექსს?
— საპრიზო...

*გ. თ.*

## ასტროპროგნოზი 27 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით კარგი ახალი ამბავი. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — გზიდან ვიღაც ჩამოდის, მას თქვენთვის ახალი ამბავი აქვს. **სასწორი** — არ დაიგვიანოთ, დროზე მიდით ადგილზე. **ღრიანკალი** — ჰარმონიული დღეა. **მშვილდოსანი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **თხის რქა** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მერწყული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## ხართ თუ არა ლიდერი?

**ტესტი**



1. ბავშვობიდან სხვისი მორჩილება თქვენთვის პრობლემას წარმოადგენდა?
2. პროგრესი მეცნიერებასა და კულტურაში შეუძლებელია იმ ადამიანების გარეშე, ვისაც სხვების წარმართვა შეუძლია.
3. არ გიყვართ, როდესაც თქვენზე ზრუნავენ?
4. პრობლემების უმეტესობას ლიდერების და „რკინის ხელის“ უკმარისობა იწვევს.
5. ხელქვეითს უფროსის ნებისმიერი დავალების შესრულება უნდა შეეძლოს.
6. ხშირად იქმნება სიტუაცია, როდესაც თქვენგან ახსნა-განმარტებას ელიან, მაშინაც კი, როდესაც ყველაფერი ცნობილია.
7. კარგად იცით, რომ შეგიძლიათ უხელმძღვანელოთ ადამიანებს.
8. გიჭირთ ვინმესთვის რაიმეს თხოვნა?
9. ქალის ჭეშმარიტი ბუნება მის მორჩილებაში მდგომარეობს.

### პასუხები

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-3 ქულა:** თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერი საყვედურის, წყენის გადაყლაპვა, მიუხედავად იმისა, რომ ამას არავინ მოითხოვს.

**4-6 ქულა:** ჰარმონია და გამბედაობა თქვენს მთავარ ღირსებებს წარმოადგენს. თუ საჭიროა, ხელმძღვანელობთ, თუ არა — უკან იხევთ.

**7-9 ქულა:** თქვენი პასუხები დიქტატორს უფრო შეეფერება, რომელსაც მიაჩნია, რომ იცის, რა როგორ უნდა იყოს და ვინ როგორ უნდა მოიქცეს.

*გ. თ.*